ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 9 აპრილი 2004 №79 (2098) ფასი 50 თეთრი


# ჟორდანიამ აბაშიძე აღასრულა

## ახლა ანდროს დროა

### რეზი ვიცეპრეზი



EURO 2004




## გუშინ

## აი, თასი!

ევროპის ჩემპიონატის მთავარი ჯილდო პორტუგალიის მთავარმა ფეხბურთელმა წარადგინა

REUTERS გლაზგოდან




სელტიკი — ვილიარეალი 1:1. ესპანელთა ამ გოლმა გლაზგოელები გვარიანად შეაჩქვიფა

REUTERS მარსელიდან



მარსელი — ინტერი 1:0. კილი გონსალესმა კარში ვერა და სხვის პირში კი „გაიტანა“

# უეფას თასი 2003-2004
## მეოთხედფინალი. პირველი მატჩები. გუშინ

| ბორდო (საფრანგეთი) 1:2 ვალენსია (ესპანეთი) |
|---|
| 1:0 რიერა (19), 1:1 ბარახა (75), 1:2 რუფეტე (87) |
| ბორდო: რამე, ჟემალი (ბასტო 71), პლანუსი, კანეირა, ჟურიეტი, ედუარდო კოშტა, მავუბა, ფრანსია (ფეინდუნო 71), სელადესი, შამახი, რიერა |
| მწვრთნელი: მიშელ პავონი |
| ვალენსია: კანისარესი, გარიდო (კარბონი 75), მარჩენა, პელეგრინო, კურო ტორესი, დ. ნავარო (კანობიო 60), ბარახა, რუფეტე, სისოკო, ხისკო, რ. ოლივეირა |
| მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი |
| გაძევება: მავუბა (27) |
| მსაჯი: მაიკ რაილი (ინგლისი) |
| 29 000 მაყურებელი |

| პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) 1:1 ნიუკასლი (ინგლისი) |
|---|
| 1:0 კეჟმანი (15), 1:1 ჯენასი (45) |
| პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ბოგელუნდი, კოლინი, ბუმა, ი. ლი, პარკი, ვან ბომელი, ვან დერ შააფი (ფოგელი 66), ჯ. დე იონგი (რომედალი 67), კეჟმანი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი |
| მწვრთნელი: გუს ჰიდინკი |
| ნიუკასლი: გივენი, ა. ჰიუზი, ბრამბლი, ვუდგეიტი, ბერნარი, ამბროზი, ჯენასი, სპიდი, რობერი, შირერი (ამეობი 90), ბელამი |
| მწვრთნელი: ბობი რობსონი |
| მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი) |
| 36 500 მაყურებელი |

| მარსელი (საფრანგეთი) 1:0 ინტერი (იტალია) |
|---|
| 1:0 დროგბა (46) |
| მარსელი: ბარტეზი, დოს სანტოსი, მეიტე, ჰემდანი, ბეიე, დ. ფერეირა, ს. ნდიაიე, ფლამინი, მერიემი, დროგბა, ბატლე (ვახოუშეკი 81) |
| მწვრთნელი: ჟოზე ანიგო |
| ინტერი: ფონტანა, კორდობა (გამარა 58), ადანი, კანავარო, კილი გონსალესი, ჯ. ძანეტი, ალმეიდა (ფარინოსი 86), ხ. ძანეტი, კარაგუნისი (ემრე 66), ვიერი, მარტინსი |
| მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი |
| მსაჯი: ლუსილიუ კარდოზო კორტეს ბატისტა (პორტუგალია) |
| 58 000 მაყურებელი |

| სელტიკი (შოტლანდია) 1:1 ვილიარეალი (ესპანეთი) |
|---|
| 0:1 ხოსიკო (9), 1:1 ლარსონი (64) |
| სელტიკი: მარშალი, აგატი, ვარგა, ბალდე, მაკნამარა, ს. პეტროვი, ლენონი, პირსონი (მილერი 79), ტომპსონი, ლარსონი, სატონი |
| მწვრთნელი: მარტინ ონილი |
| ვილიარეალი: რეინა, არუაბარენა, კოლოჩინი, ხავი ვენტა, ბალესტეროსი, ხოსე მარი, ბატალია, რიკელმე, ხოსიკო (მარტი 79), როხერი, ს. ანდერსონი |
| მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი |
| მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი) |
| 58 493 მაყურებელი |

*საპასუხო მატჩები 14 აპრილს გაიმართება*



REUTERS მარსელიდან

მარსელი — ინტერი. დიდიე დროგბას გოლის სიხარული ყვითელი ბარათით ჩაუმწარდა

**დაითარსა** მილანქალაქი და ეგ არის. „დეპორტთან“ „მილანის“ გასაზიზღრება გუშინდლამდე თუ ნახევარ მილანს არ ადარდებდა, წუხანდელი საუეფასთასო მეოთხედფინალების შემდეგ მთელი ქალაქი უხასიათოდ დარჩა — „ინტერმაც“ წააგო. მილანელმა „შავ-ლურჯებმა“ საშინლად ითამაშეს და ბედს უნდა უმადლოდნენ, მხოლოდ 1:0 რომ აკმარეს საპორტო მარსელში.

მარსელელებმა დიდი ქარტეხილი დაატეხეს მომხვდურს და პირველ ტაიმში იმდენი მომენტი შექმნეს, სტუმართა სათადარიგო მეკარე ალბერტო ფონტანას სიქა გააცალეს. „ინტერმა“ „მარსელის“ საპირველტაიმო დაწოლას გაუძლო, მაგრამ მეორე ტაიმის პირველივე წუთზე ფრანგთა კოტდივუარელი შემტევი დიდიე დროგბა ვერ დაიჭირეს მცველებმა. დროგბამ ოცმეტრიან დრიბლინგის შემდეგ გახსნა ანგარიში. გოლის მერე ფრანგები მადაზე მოვიდნენ და საჯარიმოში გამოამწყვდიეს მეტოქე, თუმც იღბალმა ფონტანას გაუღიმა და დარჩენილ დროში გოლი აღარ გასულა. ფრანგთა უიღბლობა ამით არ დამთავრებულა — დიდიე დროგბამ ყვითელი ბარათი მიიღო და ფოტოზე რომ ხედავთ იმ პოზაში იმიტომ დარჩა, რომ დისკვალიფიკაციის გამო საპასუხო მატჩის გამოტოვება მოუწევს.

„მასტერქარდივით“ ორი მხარე ჰქონდა „სელტიკ“ — „ვილიარეალის“ დაპირისპირებას. ერთის მხრივ, მასპინძლებმა შთამბეჭდავი რეკორდი გაიუმჯობესეს და ზედიზედ 77-ე საშინაო მატჩი არ წააგეს, თუმც 1:1 ვერაფრით გამოდგება კელტთათვის სასურველ ანგარიშად. „სელტიკი“ შინაურ სარბიელზე მოგებას გეგმავდა უეფას თასის დებიუტანტ „ვილიარეალთან“, მაგრამ მოგებას ვინ ჩივის, ლარსონის გამთანაბრებელი გოლი რომ არა, რეკორდიც უკან დარჩებოდათ გლაზგოელებს.

გოლით დაიწყო „ვალენსიასთან“ მატჩი „ბორდომ“, მაგრამ მალევე კაცი გაუგდეს ფრანგებს და ბევრისმნახველმა ვალენსიელებმა ბოლო თხუთმეტ წუთში მოახრჩვეს მეტოქე.

„ნიუკასლის“ მენეჯერი ბობი რობსონი ის კაცია, თავის დროზე პსვსაც რომ წვრთნიდა. გამოცდილმა რობსონმა წუხელ არც მწვადი დაწვა, არც შამფური, ეინდჰოვენურ მატჩს მშვიდობიანი 1:1 მოჰყვა, თუმც, ცხადია, ეს ანგარიში საპასუხო მატჩისთვის კარგი ფორაა „კაჭკაჭებისთვის“, აკი თქვა კიდეც ნამატჩევს რობსონმა, „სენტ ჯეიმს პარკზე“ სალაპარაკოდ არ გავიხდით საქმესო.

**ბაატა ძვანტალიანი**

# ამისულაშვილი სურკისმა გააგდო
## უკრაინამ 20 ათასი დაიტაცა

**შაბათს** უკრაინულ ჩემპიონატში დიდი მატჩია: „შახტარი“ — „დინამო“. მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატის დამთავრებამდე ჯერაც ბევრია დარჩენილი, ბევრის აზრით, სწორედ ხვალინდელი მატჩი გადაწყვეტს ჩემპიონის ვინაობას. სამწუხაროდ, დონეცკელებს ვერ დაუპირისპირდება ალექსანდრე ამისულაშვილი, მიზეზი ძველია — ჩვენებური კვლავაც სათადარიგოთა გუნდშია.

კიევის „დინამო 2“-ის შემადგენლობაში ამისულაშვილმა ბოლოს ივანო-ფრანკოვსკის „სპარტაკის“ წინააღმდეგ 67 წუთი ითამაშა. კიეველებმა 1:0 მოიგეს. დინამოელებში პირველი გუნდის ოთხი ფეხბურთელი თამაშობდა: შაცკიხი, კლებერი, გუსინი და რევა.

იმ მატჩის შემდეგ ამისულაშვილმა პირველ გუნდში გადასვლის პერსპექტივაზე ეს გვითხრა: „ადრე იმას მეუბნებოდნენ, ჯერ სუსტი ხარ და ცოტა მოითმინეო, ახლა კი მართლაც საუცხოოდ ვგრძნობ თავს და „დინამო 2“-ში თამაშს ვერ შევეგუები. მიხაილიჩენკომ ნაკრების ამბები გამომკითხა და რომ გაიგო, გერმანიის ახალგაზრდულთან 90 წუთი ვითამაშე, ესიამოვნა, თუმცა პირველ გუნდში გადაყვანას არ ჩქარობს. 10 აპრილს „შახტართან“ მეტად პრინციპული მატჩი აქვთ. უკვე გადაწყვეტილია, რომ ამ შეხვედრის შემდეგ მიხაილიჩენკოს შევხვდები და ჩემს მომავალზე დაველაპარაკები“.

„დინამო 2“-ში ნათამაშები შაცკიხი, კლებერი და გუსინი უკვე პირველ გუნდში დაბრუნეს და ხვალ „შახტართან“ უპრინციპულესს მატჩში ისინიც ითამაშებენ. ამ შეხვედრამ კი უკრაინაში უდიდესი ინტერესი გამოიწვია. დონეცკში მატჩზე დასასწრები ყველა, 20 ათასი ბილეთი უკვე გაყიდულია. ალეკოს თქმით, მარცხის შემთხვევაში შესაძლოა მიხაილიჩენკოს სამწვრთნელო მომავალი საფრთხის წინაშე დადგეს.

დღეისთვის „დინამო 2“ ისვენებს. უკრაინის მეორე ლიგის მატჩი კლუბს გადაუდეს, ვინაიდან ახალგაზრდულ ნაკრებში ერთბაშად 16 დინამოელია გამოძახებული.

— „შახტართან“ მატჩს მთელი უკრაინა მოუთმენლად ელის. ფაქტობრივად, სწორედ დონეცკში გაირკვევა უკრაინის ჩემპიონის ვინაობა. თანაც „შახტართან“ მატჩის შემდეგ „დინამოს“ ბევრად იოლი კალენდარი აქვს. შეიძლება, ამ ფაქტორმაც დააჩქაროს პირველ გუნდში ჩემი გადასვლა. მოკლედ, დონეცკურ მატჩზე ბევრი რამაა დამოკიდებული — გვითხრა ამისულაშვილმა.

— ვიდრე მიხაილიჩენკოს დაელაპარაკებოდე, მანამდე იქნებ სხვა გზებითაც შეგეტყო უთამაშებლობის მიზეზი...

— ახლახან, საკმაოდ მოულოდნელად სურკისს შევხვდი, უშუალო და შინაურულ ატმოსფეროში. ბოლოს გავბედე და ვკითხე, ხუთწლიან კონტრაქტს რას მიფორმებდით, თუ არ მათამაშებდით, ამით ხომ ჩემს სანაკრებო კარიერასაც ავნებთ-თქო. სურკისის პასუხმა სულ გამაგიჟა — მითხრა, მიხაილიჩენკოს მოსწონხარ და თავისი გუნდისთვის სჭირდებიო. უბრალოდ, რთული კალენდარი გვქონდა და არ გარისკაო. მე კი მაინც სხვა მგონია ჭეშმარიტი მიზეზი — მიხაილიჩენკო ჩემს სკამზე დასმის საბაბს ეძებდა და ბოლოს და ბოლოს მოახერხა კიდეც ეს. მოკლედ, უნდა დაველაპარაკო, სხვანაირად არაფერი გამოვა.

**დავით ერაძე**



ამისულაშვილს ნაკრებში თამაში მოუწონეს და... სათადარიგოებში დატოვეს

### ინგლისი

კონფერენსლიგა
გადადებული მატჩი

ტელფორდი 1:0 აკრინგტონი

### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
XXVIII ტური

კოტბუსი 1:2 არმინია
ალემანია 4:2 უნიონი
ობერჰაუზენი 3:1 უნტერჰახინგი

სამხრეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩები

ბაიერნი (მ) 3:1 ოფენბახი
ზიგენი 2:5 კაიზერსლაუტერნი (მ)

### შვეიცარია

სუპერლიგა
XXVIII ტური

აარაუ 2:0 ძსამაძსი
ბაზელი 1:0 სერვეტი
ვილი 0:2 სენტ გალენი
ციურიხი 0:0 თუნი

ჩელენჯლიგა
XXV ტური

კრინსი 0:1 ბულე
ანიო 1:0 ბადენი
მეირინი 2:1 ბელინცონა
ვინტერთური 1:1 ვადუცი
ვოლენი 2:1 ლუცერნი
ივერდონი 0:1 შო დე ფონი

### დანია

თასის მეოთხედფინალი

*ოლბორგი* 2:0 ვიბორგი
ჰორსენსი 1:2 *ოდენსე*
ნიკიობინგი 0:2 *ბრონდბიუ*
სკივე 0:2 *კოპენჰაგენი*

### პოლონეთი

პირველი ლიგა. XVIII ტური

ლეგია 3:0 პოლკოვიცე

### ჰოლანდია

მეორე დივიზიონი
XXXII ტური

სიტარდი 0:1 დორდრეხტი

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ახალი შტატია — 27 წლის ანდრო აბაშიძე აღმასრულებელ დირექტორად დაინიშნა და დღეიდან ის გენერალური მდივნის ფუნქციებს შეასრულებს. გენერალური მდივნის პოსტი კი, რომელიც ერთი თვის წინ ვალერი ჩოლარიამ დატოვა, ფედერაციაში საერთოდ გაუქმდა*


მერაბ ჟორდანია, ანდრო აბაშიძე და რევაზ არველაძე

# ახალი ხალხი, ახალი დრო
## ჩოლარიას მერე აბაშიძე ანდრო

ანდრო აბაშიძეზე, საფეხბურთო სამყაროში ნაცნობი კაციაო, არ ითქმის, ფეხბურთის ფედერაციაში მისვლამდე ის კომპანია „მეტრომედიაში“ და „აიეტში“ მუშაობდა და პროფესიით ბიზნეს-ადმინისტრატორია.

აღმასრულებელი დირექტორი ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ გუშინდელ პრესკონფერენციაზე გაგვაცნო და პირველი სიტყვაც თავად თქვა:

— საბოლოო გადაწყვეტილება ბევრი ფიქრისა და კონსულტაციების შემდეგ მივიღე. ფედერაციაში სტრუქტურული ცვლილებები გენმდივნის პოსტის გაუქმებითა და აღმასრულებელ დირექტორად ანდრო აბაშიძის დანიშვნით დავიწყეთ. დასამალი რაა, ვიდრე ანდრო აბაშიძეზე შევაჩერებდი არჩევანს, რამდენიმე კანდიდატს შევხვდი, მაგრამ ანდრო აბაშიძემ ყველა გადასწონა. ის ცნობილ კომპანიებში საკმაოდ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდა, გამოცდილება აქვს. თუმც მხოლოდ ამის გამო არ მოგვიწვევია ფედერაციაში სამუშაოდ. აღმასრულებელ დირექტორად დანიშვნამდე ანდრო აბაშიძეს ბევრჯერ შევხვდი, ვესაუბრე და როცა მის პროფესიონალიზმში დავრწმუნდი, გადაწყვეტილება მერე მივიღე. ჩავთვალე, რომ ის ამ ეტაპზე ფედერაციისთვის საუკეთესო კანდიდატურა იქნებოდა. ანდრო აბაშიძე დაკავებული კი იყო, მაგრამ ფეხბურთის სიყვარულმა ჩვენთვის სასურველი ეს ნაბიჯი გადაადგმევინა. დღეიდან ფედერაციის ყოველდღიურ საქმიანობას ის გაუძღვება. ოფიციალურად კი აღმასრულებელ დირექტორად ანდრო აბაშიძეს ჩემი წარდგინებით აღმასკომი დაამტკიცებს.

— ფეხბურთის ფედერაციაში დაგეგმილ სხვა სტრუქტურულ ცვლილებებზე საუბრისგან დღეს თავს შევიკავებ. თუმც ამ საკითხზე ჩემი მოსაზრებები ანდრო აბაშიძემ იცის. სულ ახლო მომავალში ფედერაცია საბოლოო სახეს მიიღებს, დაკომპლექტდება პრესსამსახურიც.

— ფედერაციაში კომერციული საქმიანობა აქამდე იმ დონეზე ვერ იყო, როგორც გვსურდა, თუმც მალე მარკეტინგს მოვაწესრიგებთ. როცა ფედერაცია „ფეროსთან“ სპონსორულ კონტრაქტს აფორმებდა, ეს ანდრო აბაშიძემ იცოდა და მასთან რეკომენდაციების შემდეგ მოვაწერე ხელი. მაშინ აღმასრულებელ დირექტორად მისი დანიშვნა გადაწყვეტილი არ იყო და ამიტომაც არაფერი ვთქვი.

— მსურს, ჭორებს ბოლო მოვუღო და ვთქვა, რომ აღმასრულებელი დირექტორის კანდიდატურა მთავრობიდან არ შემოუთავაზებიათ. ანდრო აბაშიძეს ჩვენმა მეგობრებმა გაუწიეს რეკომენდაცია და მასთან პირისპირ საუბრისას, როგორც ვთქვი, დავრწმუნდი მის პროფესიონალიზმში.

— უეფაშიც ასეა. ამ ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობას აღმასრულებელი დირექტორი უძღვება. გენერალური მდივნის პოსტი ფედერაციაში აღარ იქნება.

— თანამდებობრივად აღმასრულებელი მდივანი უფრო მაღლა იქნება თუ ვიცე-პრეზიდენტი, რა გითხრათ, მთავარია, ყველამ თავისი საქმე აკეთოს და ფედერაციას თანამედროვე სტრუქტურული სახე მიეცეს.

— უეფაში აღმასრულებელი დირექტორი აღმასკომის წევრი არ არის, აქამდე არც ჩვენთან იყო გენმდივანი აღმასკომში, თუმცა აღმასკომის მოსამზადებელ სამუშაოს ის ასრულებდა.

მერაბ ჟორდანიას შემდეგ სიტყვა ანდრო აბაშიძემ აიღო. მას [illegible] არაფერი უთქვამს.

— აქამდე კავშირგაბმულობის სფეროში ვმუშაობდი. 27 წლის ვარ, პროფესიით ბიზნეს-ადმინისტრატორი. ფედერაციის საქმიანობაში ჯერ ბოლომდე ჩახედული არ ვარ, ზოგადი ინფორმაციის მისაღებად დრო დამჭირდება. მერე, კი ნელ-ნელა საქმეც აეწყობა.

პრესკონფერენცია-აღმასრულებელი დირექტორის პრეზენტაციას ჟორდანიასა და აბაშიძის გარდა ვიცე-პრეზიდენტი რომან შოთაძე და რევაზ არველაძე ესწრებოდნენ. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად იოჰან ბოსკამპის დანიშვნასთან დაკავშირებულ კითხვას კი სწორედ რევაზ არველაძემ უპასუხა და თქვა, რომ ბოსკამპთან პრინციპული შეთანხმება უკვე მიღწეულია და ის თბილისში მომავალ კვირაში ჩამოვა, იქამდე კი ბელგიაში თავის საქმეებს მოაგვარებს.

მერე, როცა რევაზ არველაძის სტატუსით დავინტერესდით, მიმდინარე სტრუქტურულ ცვლილებებში გარკვეული ხალხისგან გავიგეთ, რომ არველაძეს ფედერაციაში ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტის სავარძელს უმზადებენ.

**ჟოჟა ინასარიძე**

საქართველოს პირველი ლიგის 15 ჩემპიონატი
მეორე წრე
# 20 ტური

სამტრედია. 8 აპრილი. 16 საათი. „ეროსი მანჯგალაძე“ 100 მაყურებელი

## ლოკომოტივი 2 0:1 ამერი

| | |
|---|---|
| 0:1 გოცირიძე (78) | |
| **ლოკომოტივი 2:** ჩაგანავა, მელქაძე, გუბელაძე, ვაშაკიძე, სურმანიძე, ყურულაშვილი, ლორია, კალაძე, ჩხაიძე, მხეიძე, ნიკურაძე<br>**მწვრთნელი:** კახა ელაშვილი | **ამერი:** ასლანაძე, ჩიხრაძე, დავითნიძე, ხვადაგიანი, ხუბუა, შონია (გარუჩავა 35), განუგრავა, ვერემჩუკი (გოცირიძე 53), სილაგავა, რუსია (წინამძღვრიშვილი 63), კაიდარაშვილი<br>**მწვრთნელი:** თამაზ კოსტავა |
| **გაფრთხილება:** მხეიძე (58) | |
| **მსაჯები:** მ. მაისურაძე; ე.ნარმანია, დ. კურტანიძე; ვ. გუმბარიძე | |

# სამტრედიაში ცარიელი ავტობუსი ნახეს
## თბილისლებს გუნდი თბილისში დარჩათ?


„ამერმა“ სამტრედიიდან სამი ქულა ბექა გოცირიძის ამ გოლით წამოიღო

**დავით თავართქილაძე**
სამტრედიიდან

**კარგი ავტობუსი** ჰქონიათ თბილისლებს! ასეთი იყო სამტრედიელთა პირველი შთაბეჭდილება, როცა „ამერი“ სტადიონზე შევიდა. მატჩის სანახავად საბჭოთა წარმოების ველოსიპედებითაც მოვიდა რამდენიმე ქომაგი და მათაც შეაქეს სტუმართა გუნდის ავტობუსი. გაუკრეჭავ მინდორზე კი „ამერს“ ავტობუსი არ გაუყვანია, გუნდი გაიყვანა.

მასპინძლებმა მხოლოდ თერთმეტი კაცი დაახვედრეს სტუმრებს — სათადარიგოებში „სამტრედიას“ ფეხბურთელი არ მოეძევებოდა. თბილისლები მოიგებენ — ამბობდა მზიანი სამტრედიის ის საზოგადოება, ფეხბურთის სანახავად რომ შეიყარა.

სამტრედიელთა მიერ მოკრებილი თერთმეტეულიდან მეტი წილი ძალიან ახალგაზრდა, დამწყები ფეხბურთელი იყო, თუმც მათ დაჯაბვნა „ამერისთვის“ ერთობ რთული გამოდგა. ამერელები ძირითადად ბურთის ფლობის ხანგრძლივობაში აღემატებოდნენ „სამტრედიას“, თუმც რამდენიმე სახიფათო მომენტი მაინც შექმნეს — დიმიტრი ვერემჩუკის ნაკუთხურალზე ვახტანგ ხვადაგიანსა და მამუკა რუსიას შეეძლოთ გატანა, მაგრამ ბურთი მცველებს ვერ ააცილეს. უკეთესი შანსი მიეცათ სილაგავასა და გიორგი დავითნიძეს, მაგრამ მათი თავურები ხარიხას გადაცდა.

მასპინძელთაგან ირაკლი ჩხაიძე აქტიურობდა, ვისაც ერთ ეპიზოდში შეეძლო შედეგიანად გამოეყენებინა მეტოქე მცველთა შეცდომა, მაგრამ ხელსაყრელი პოზიციიდან იჩქარა და ულაზათოდ დაარტყა.

საფეხბურთო ელემენტებზე ლაპარაკით ვინძლო თავს გაბეზრებთ. ამერელებს სხვათა გარდა ნიათიც აკლდათ, თორემ კარგი მომზადების ხარჯზეც დამაჯერებლად უნდა მოეგოთ თერთმეტკაციანი „სამტრედიასთვის“.

მეორე ტაიმში „ამერი“ საგოლე კი არა, მწვავე მომენტებს გაჭირვებით თუ ქმნიდა — მინდორზე ბექა გოცირიძის გამოსვლა ამერელთათვის ნაპერწკალიც გამოდგა და გაჭირვების ტალკვესიც — არეულ-დარეულ „ამერს“ თხუთმეტი წლის, გუნდში ყველაზე უმცროსი გოცირიძე მოევლინა თამაშის გამომძრობ ფეხბურთელად: გელა ხუბუას ჩაწოდებულზე ჩია გოცირიძე ყველაზე მაღლა ახტა, თავურით გაფრენილი ბურთი ჯერ ხარიხას მოხვდა და მერე დაეცა კარის ხაზს იქით. გოლის შემდეგ „ამერს“ ერთხელაც გაუჩნდა შანსი, მაგრამ ცაცია ხუბუამ მარჯვენათი ვერ დაუმიზნა „სამტრედიას“ კარს.

... სამტრედიელებს თბილისლების ავტობუსის გარდა ბექა გოცირიძეც მოეწონათ.

**გურია 2:0 ოლიმპი**

**დინამო 2 4:1 ვიტ ჯორჯია** მცხ.

**ლუკა 0:1 სამგურალი**

**ივერია 3:0 მეტალურგი**

**ცხინვალი 0:1 მილანი**

**თსუ 1:1 ჩიხურა**

**ქობულეთი — რუსთავი**
*ხვალ გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამგურალი | 20 | 11 | 5 | 4 | 26:12 | 38 |
| ქობულეთი | 19 | 12 | 1 | 6 | 35:19 | 37 |
| ოლიმპი | 20 | 10 | 5 | 5 | 28:19 | 35 |
| დინამო 2 | 20 | 10 | 4 | 6 | 43:26 | 34 |
| მილანი | 20 | 10 | 4 | 6 | 23:14 | 34 |
| რუსთავი | 19 | 10 | 3 | 6 | 27:20 | 33 |
| ცხინვალი | 20 | 9 | 5 | 6 | 30:17 | 32 |
| ჩიხურა | 20 | 9 | 3 | 8 | 24:21 | 30 |
| ამერი | 20 | 8 | 6 | 6 | 23:18 | 30 |
| ვიტ ჯორჯია-მცხ. | 20 | 7 | 8 | 5 | 21:15 | 29 |
| თსუ | 20 | 7 | 6 | 7 | 32:21 | 27 |
| ივერია | 20 | 7 | 5 | 8 | 16:27 | 26 |
| გურია | 20 | 7 | 4 | 9 | 24:28 | 25 |
| ლოკომოტივი 2 | 20 | 6 | 1 | 13 | 14:37 | 19 |
| ლუკა | 20 | 4 | 1 | 15 | 15:39 | 13 |
| მეტალურგი | 20 | 1 | 1 | 18 | 9:57 | 4 |

## დავით ყიფიანის თასი
### ნახევარფინალი. წილისყრა

# კიდევ იქნება გუშინდელი?

*სენსაციური სათასო მეოთხედფინალების შემდეგ პროფლიგის საშეჯიბრო კომიტეტმა ნახევარფინალების წილისყრა გამართა. დავით ყიფიანის თასის ნახევარფინალში გასულთაგან გუშინ ყველაზე მეტად გორის „დილას“ არ გაუმართლა. რაკილა ჩემპიონი და თასის მფლობელი ერგო მეტოქედ. გუშინდელმა კენჭისყრამ ოთხეული ასე დააწყვილა:*

**ტორპედო — სპარტაკი**

**დინამო — დილა**

პირველი მატჩები 20 აპრილს გაიმართება, საპასუხოები კი 5 მაისს. ალბათ, შეამჩნევდით, თასის ნახევარფინალში ორ-ორი გუნდია ზედა და ქვედა ექვსეულიდან, თუმც კენჭისყრამ ისე ინება, რომ ფინალში აუცილებლად ითამაშებს ერთი ქვედა ექვსეულის ბინადარი — „ტორპედო“ ან „სპარტაკი“.

გუნდებს გუშინდელ კენჭისყრაზე ტრადიციულად თავთავიანთი წარმომადგენლები ჰყავდათ. „დინამოს“ პრესატაშე ლევან სალუქვაძე და გუნდის უფროსი გია იმნაძე, „სპარტაკს“ გუნდის უფროსი თემურ ალექსანდრია, „დილას“ პრეზიდენტი გელა ჩხეიძე, ხოლო „ტორპედოს“ მთავარი მწვრთნელი ოთარ გაბელია წარმოადგენდნენ.

დავით ყიფიანის სახელობის თასი თავისთავად პრესტიჟულია, თუნდაც იმიტომ რომ მისი მფლობელი ევროპულ ფანჯარას გაჭრის და უეფას თასზე ითამაშებს. თუმც შეიძლება ისეც იყოს, რომ საამისოდ ფინალისტობაც საკმარისი აღმოჩნდეს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ თბილისის „დინამო“ ფინალში გავა და ამასთან ერთად ჩემპიონობასაც შეინარჩუნებს და „სპარტაკი“—„ტორპედოს“ წყვილში გამარჯვებულიც ავტომატურად მოიპოვებს უეფას საგზურს.

გუნდების მთავარმა მწვრთნელებმა მომავალ სათასო დაპირისპირებებზე ეს გვითხრეს:

**ივო შუშაკი** *(დინამო)*: — თასის ნახევარფინალში სუსტი მეტოქე არ არსებობს, პროგნოზის გაკეთება კი მუდამ რთულია. ჩვენს მეტოქეს, „დილას“, ძალიან ვაფასებ, მით უფრო, რომ ზეექვსეულიდან თასის გათამაშებას მხოლოდ ეს გუნდი შემორჩა. წლეულს „დილას“ რამდენიმე მატჩი ვნახე, და ვაღიარებ — ძალიან სერიოზული მეტოქეა. გორში თამაში ნებისმიერი გუნდისთვის ურთულესია. მიუხედავად ამისა, „დინამოს“ მიზანი არ შეუცვლია და კვლავაც მაქსიმუმის მიღწევას ვგეგმავთ, ამიტომ თასის აღება ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა იქნება.

**ზურაბ ხორგუაშვილი** *(დილა)*: — კენჭისყრამდე გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი მომავალი მეტოქის ვინაობას, თუმცა ფაქტია, რომ ჩვენ ყველაზე ძლიერი, გათამაშების ფავორიტი გუნდი გვერგო. მიუხედავად ამისა, კვლავაც თასის აღებაზე ვფიქრობთ, ამისათვის კი „დინამოს“ დამარცხება მაინც აუცილებელი იყო. ამიტომ, რაც არის, არის, მოვიდეს „დინამო“. შანსებს ორმოცდაათი-ორმოცდაათზე ვაფასებ.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ 1998 წელს თასის გათამაშების ნახევარფინალში ეს გუნდები უკვე გადაეყარნენ ერთმანეთს. მაშინ თბილისში გორელებმა სენსაციურ წარმატებას მიაღწიეს და 2:1 გაიმარჯვეს, თუმცა, საპასუხო მატჩში გორში 1:3 დამარცხდნენ და ფინალშიც „დინამო“ გავიდა. „დილას“ შემადგენლობაში იმ მატჩებში გუნდის ამჟამინდელი მთავარი მწვრთნელი ზურაბ ხორგუაშვილიც თამაშობდა.

**მურთაზ ხურცილავა** *(სპარტაკი)*: — ჩვენ უკვე დავამტკიცეთ, რომ ნებისმიერი მეტოქისთვის ანგარიშგასაწევი ძალა ვართ. ჩემს ახალგაზრდულ გუნდს ორ ფრონტზე უხდება ბრძოლა. პირველ რიგში უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება გვმართებს. თუმცა თასსაც სრული სერიოზულობით ვეკიდებით. ნახევარფინალში სუსტი მეტოქე არაა. ქუთაისის „ტორპედო“ კი ის გუნდია, რომელიც ქომაგთა წინაშე რეაბილიტაციას ცდილობს და ჩვენთან მაქსიმუმს გაიღებს. ჩვენ კი ტრადიციას არ ვუღალატებთ და უბრძოლველად არაფერს დავთმობთ.

**ოთარ გაბელია** *(ტორპედო)*: — თასზე გამარჯვებით „ტორპედო“ სეზონს მაჟორულ ნოტაზე დაასრულებს, ამიტომ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ. „სპარტაკი“ სიმპათიური გუნდია. მურთაზ ხურცილავამ შეძლო ბრძოლისუნარიანი, ახალგაზრდული და მოძრავი კოლექტივი შეკრა, რომელმაც თასზე თამაშით დიდ წარმატებას მიაღწია. დიდ პატივს ვცემ ფეხბურთში მობრუნებული აკაკი დევაძისა და გიორგი კიკნაძის გუნდს, თუმცა „ტორპედოს“ ახლა ერთი მიზანი აქვს — თასის ფინალში გასვლა.

**დავით ერაძე**



„ვიტ ჯორჯიას“ გამგდებ ახალგაზრდა სპარტაკელებს სათასო ნახევარფინალში გამოცდილი „ტორპედო“ ერგოთ

# დარასელია ჟირესს ძმაკაცს ჩამოუყვანს

**ხუთტურმოლეულ** რუსულ პრემიერლიგას გვარიანი მოულოდნელობები ახლავს. სეზონის წინ ფინანსურად და შემადგენლობით მოძლიერებულ ბევრ გუნდს სასურველი შედეგებისთვის დღემდე ვერ მიუღწევია. ასეთთა შორის ერთ-ერთი ვლადიკავკაზური „ალანიაა“, რომელსაც რიხით სურდა სეზონის დაწყება, რაკილა გამოცდილი ფრანგი რონალდ კურბისი მიიწვია მწვრთნელად და რამდენიმე მაღალი დონის ფეხბურთელიც შეიმატა.

„ალანიას“ ახალწვეულთა შორის ჩვენებური ვიტალი დარასელიაცაა, რომელმაც გუშინწინ პრემიერლიგურ მეხუთე ტურში შეუცვლელად ითამაშა საშინაო მატჩში „სატურნთან“. დარსელიას გუნდი 0:3-ით განადგურდა, თუმც რუსმა მედიელებმა მასპინძელთა შორის საუკეთესოდ ჩვენებური შერაცხეს.



გაიოზ კორძახიას ფოტო

ვიტალი დარასელიას წაგებულ მატჩში გარჯა დაუფასეს

— რა ვქნა? რაც შემეძლო ყველაფერი გავაკეთე, მაგრამ რად გინდა, მხარი არავინ ამიბა. გოლის გამტანი ჩვენ არ გვივარგა და დაცვაც ბევრს ცოდავს. არტურ პაგაევა, ერთადერთი, რიგიანი მცველი რომ ეთქმის, მანაც რა ქნას, ყველას მაგივრად ხომ არ ირბენსო, გვითხრა დარასელიამ გუშინ რომ შევეხმიანეთ.

— ისეთი რა გააკეთე, რუსებმა თანაგუნდელებში რომ გამოგარჩიეს?

— მთელი თამაში გიჟივით ვირბინე, სამი ნაღდი საგოლე პასი გავაკეთე, მაგრამ... ორჯერ თავად დავარტყი შორი მანძილიდან, ერთხელ მეკარემ ამიღო, მეორედ კი ოდნავ ავაცილე. მსაჯებმა გაგვაწამეს, ისეთი შეცდომები დაუშვეს, შედეგზე რომ იმოქმედა.

— „სატურნი“ როგორი გუნდია?

— ძალიან მაგარი. ამ ეტაპზე, მგონი, რუსეთში ყველაზე კარგ ფეხბურთს თამაშობს.

— „ალანიას“ რა ეშველება?

— თუ ერთი-ორი მაღალი დონის ფეხბურთელი არ იყიდეს, ცუდადაა საქმე. არადა, ამ მხრივ სასიკეთო ჯერჯერობით არაფერი ისმის.

— მაყურებელს გამაყრუებელი სტვენით გაუცილებიხართ...

— განსაკუთრებით კურბისი არ მოუვიდათ თვალში. ისეთი სიტყვები ეძახეს... მაგრამ არ ვიცი, მისგან რა უნდათ. ფეხბურთელი თუ ვერაფერს აკეთებს, კურბისი ჯადოქარი ხომ არაა.

— ალბათ გეცოდინება, რომ აპრილის ბოლოს ნაკრებს ამხანაგური მატჩი აქვს დაგეგმილი. გაქვს გამოძახების იმედი?

— რატომაც არა? ფორმაში ვარ, ძირითადშიც დავიმკვიდრე ადგილი და ალბათ გამომიძახებენ.

— კურბისი გაიგებდა, რომ ნაკრების მწვრთნელი ფრანგია, ალბათ იცნობს კიდეც ჟირესს...

— კურბისმა მითხრა, რომ ჟირესთან დიდი ხნის ნაცნობ-მეგობრობა აქვს. ჰო, მართლა, ჩვენი გუნდის მეკარეების ფრანგმა მწვრთნელმა რომ გაიგო, ჟირესი საქართველოს ნაკრების მწვრთნელად დანიშნესო, გაგიჟდა კაცი. მაგარი ძმაკაცები ყოფილან. მითხრა, თბილისში ნაკრების თამაშზე რომ წახვალ, მეც აუცილებლად გამოგყვებიო.

**დავით ერაძე**

Крупнейшая российская
букмекерская контора
ФОН

Приглашает к сотрудничеству



Откройте контору в своем городе!

Справки по телефонам:
+7 095 9045011; +7 095 9045018

Ставки и казино в интернете: www.fonbet.info

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მე და მამა ვმუშაობთ

# ინტერვიუ სამ შენგელიასთან



*ყოველთვის ძნელია, როცა დიდი ფეხბურთელის შვილი მამის გზას დაადგება. რამაზ შენგელია ქართული ფეხბურთის მთავარმეგოლე და ნამდვილი ვარსკვლავი, მისი წარმატებების და ლეგენდების ერთ-ერთი შემოქმედი იყო. გიორგი შენგელია, მისი ვაჟი და მასავით მეგოლე, ოღონდ სულ სხვა, არცთუ სახარბიელო დროებაში. მათი თამაშის მანერის, შესაძლებლობებისა და მიღწევების შედარება ერთი საქმეა, მამა-შვილის ურთიერთობა და ფიქრები ფეხბურთზე კი მეორე. სხვათა შორის, გიორგის მშვენიერი სეზონი აქვს ბოლნისის „სიონში". გასულ უქმეებზე მისმა ლამაზმა გოლმა „სიონი" ჩემპიონატის ლიდერად აქცია.*

*ჩვენს საუბარში, დასაწყისშივე, მესამე შენგელიაც „ჩაერთო" — პატარა რამაზი...*

**— ბატონო რამაზ, ალბათ ძალიან ამაყობთ იმით, რომ შვილიშვილი თქვენ გგავთ...**

*გიორგი:* ჯერ კი ჰგავს, მაგრამ მერე ვნახოთ, იქნებ მე უფრო დამემგვანოს...

*რამაზი:* აი, ხომ ხედავ, როგორ შაყირობს. გიორგი, არ დაგავიწყდეს, შენ ახლა რამაზ შენგელიას გვერდით ზიხარ!

*გიორგი:* ჰო, მაგრამ, ისიც ვიცი, რომ რამაზ შენგელია მამაჩემია.

**— ბატონო რამაზ, ცხადია, გინდოდათ, რომ გიორგი ფეხბურთელი გამოსულიყო...**

— რა თქმა უნდა. გიორგი რომ დაიბადა, მაშინვე ვოცნებობდი, ნეტავ, ფეხბურთის ნიჭი ჰქონდესმეთქი. თუმცა ვაღიარებ, რომ ძალიან ცუდი პედაგოგი ვიყავი. როცა გიორგი პატარა იყო, საშინლად ვექცეოდი. დღე და ღამე ბურთს დასდევდა, მაგრამ საკმარისი იყო, გოლი ვერ გაეტანა და რაღაც შეცდომა დაეშვა, კარგად მოხვდებოდა ხოლმე. რამდენჯერმე მართლა მწარედ გამირტყამს ხელი და მერე მინანია. ასე არ უნდა იქცეოდეს მშობელი. სამწუხაროდ, ფეხბურთში პედაგოგის თვისებებს საერთოდ ვერ ვამჟღავნებდი.

**— გიორგი, გახსოვს მამის ხელი ვერგატანილი გოლის შემდეგ?**

— მაგას რა დამავიწყებს. სულ მეჩხუბებოდა, თუ მოედანზე გადიხარ, ბოლომდე უნდა დაიხარჯოო. თამაშიდან შინ რომ მივიდოდი, შემეკითხებოდა, გოლი გაიტანეო. თუ არას ვეტყოდი, უნდა გენახა, რა ამბავს ატეხდა.

**— მოტყუება არ გიცდია?**

— რა აზრი ჰქონდა?! მერე მაინც გაიგებდა სიმართლეს და უარესს მიზამდა. ამიტომაც ან გოლები უნდა გამეტანა, ან კიდევ მისთვის უნდა გამეძლო.

**— ბატონო რამაზ, გიორგის თამაშებს არ ესწრებით?**

— იშვიათად.

*გიორგი:* ვის სცალია ჩემთვის. საერთოდ არ აინტერესებს, რას ვაკეთებ მოედანზე. იქნებ ვბდღვნი ყველაფერს ან საერთოდ ვერ ვთამაშობ... ამას უფრო სხვებისგან თუ გაიგებს.

*რამაზი:* ინფორმაციას მაინც ვილებ. აგერ, ახლა „ლოკომოტივთან" მაგარი გოლი გაუტანია, მაგრამ ნაღდად არ მინახავს. ვინც შემხვდა, ყველა იმ გოლზე ლაპარაკობს.

**— გიორგი, ალბათ ხშირად იყო ისე, რომ რამაზის შვილობის გამო სხვანაირად გექცეოდნენ...**

— ძალაუნებურად ასეა. სულ ეგ მესმის. კარგს გავაკეთებ თუ ცუდს, მაინც რამაზის შვილი ვარ. მაგრად თუ ვითამაშებ, პასუხი ერთია: ხედავთ რამაზის ბიჭს! ფეხს თუ ვერ გავანძრევ, იგივე მეორდება: რამაზის ბიჭს ასეთები არ ეკადრებაო. მგონი, სახელი ტყუილად დამარქვეს, „რამაზის ბიჭი" უფრო მომიხდებოდა.

*რამაზი:* როცა წამოიზარდა, უკვე ველარ ვაკონტროლებდი. ახლა მას თავისებური ხედვა აქვს ცხოვრებაზე. ადრე ხშირად მეუბნებოდნენ, შენი ბიჭი ასე იქცევა და ისე იქცევაო. მეც ამის მიხედვით ვფიქრობდი მის აღზრდაზე. ამაში ხომ გამოუცდელი ვიყავი. თურმე ბავშვის აღზრდა ისეთი არ ყოფილა, როგორიც მეგონა.

**— გიორგი, როგორც გავიგე, მამაშენი შენს თამაშებს იშვიათად უყურებს და შენიშვნებსაც ასე თუ ისე ვერ მოგცემს. აი, შენ კი აუცილებლად გექნება მამის თამაში ნანახი...**

— ადრე ვნახე ბრაზილია—სსრკ. ყველა ამბობდა, რამაზ შენგელიამ დაგლიჯა, ისე ითამაშაო. რა ვიცი, მე ბლომად შეცდომები ვუპოვე და...

*რამაზი:* ხედავ? მე მაკრიტიკებს.

**— ეტყობა, თქვენი ალაპარაკება უნდა...**

— ყოველთვის მინდოდა, გიორგისთვის დიუსელდორფის თამაში მეჩვენებინა და ერთხელაც კასეტა ჩავურთე. მაშინ უკვე გიორგიც თამაშობდა ფეხბურთს. ვიფიქრე, ამ თამაშის ნახვით ბევრ რამეს ისწავლის-მეთქი. ჰოდა, ჩავურთე და ვუთხარი, შვილო, კარგად დააკვირდი ყიფიანს, შენგელიას, დარასელიას, ჩივაძეს, გუცაევს... ნახე, როგორ თამაშობენ, რას აკეთებენ-მეთქი. ტაიმნახევარს უყურა და მერე რა მითხრა, არ გაინტერესებს? რაღაც ძალიან ნელა დარბიხართო. კინაღამ გამაგიჟა.

**— როგორი რეაქცია გქონდათ?**

— არ ვიცოდი, რა მექნა. მერე ვუპასუხე, კარგი, ჩვენ ნელა დავრბივართ, მაგრამ შენ ხომ დაფრინავ-მეთქი.

**— საზღვარგარეთ ხშირად მიდიოდით. საჩუქრების ჩამოტანა თუ გიყვარდათ გიორგისთვის?**

— მაშინ მართლა სხვანაირი ცხოვრება იყო. საზღვარგარეთ ყველა ვერ მიდიოდა. უფრო ხშირად „დინამოს" და სუხიშვილების ანსამბლს უმართლებდა. საჩუქრებიც ჩამომქონდა, მაგრამ ფეხბურთთან ამას არანაირი კავშირი არ ჰქონდა. აბა, ეს თბილისის „დინამოს" მაისურას არ ჩაიცმევდა.

*გიორგი:* საჩუქრები მართლა სულ ჩამოჰქონდა. მაშინ პატარა ვიყავი და, აბა, სხვა რა გამიხარდებოდა...

**— შენ თუ უკეთებ ხოლმე მამას სიურპრიზს?**

— კვიპროსზე რომ ვთამაშობდი, ერთხელ წავიყვანე. ამაზე კარგი სიურპრიზი რა უნდოდა?! იქ საჩუქრებიც ვუყიდე.

*რამაზი:* ხედავ? კვიპროსზე წავიყვანეო... დიდი მადლობა, შვილო, ასეთი საჩუქრისთვის. აი, რა შვილი მყავს, მე, რამაზ შენგელია, კვიპროსზე წამიყვანა და გამართო. მადლობელი ვარ. ამ სიკეთეს არასოდეს დაგივიწყებ.

**— გიორგი, კვიპროსიდან რატომღა დაბრუნდი?**

— რა ვიცი. თავიდან მართლა კარგად ვთამაშობდი, გოლებიც გამქონდა. მწვრთნელი და პრეზიდენტი ჩემზე გიჟდებოდნენ. ყველაფერი მწვრთნელის წასვლამ არია. მერე პრეზიდენტიც გადადგა და... რა მექნა?! გადავედი გაჭირვებულ „დიგენისში", სადაც სულ ჩავიკარგე. პრობლემებიც ბლომად გაჩნდა და საქართველოში ჩამოსვლა გადავწყვიტე.

**— ფეხბურთელ რამაზ შენგელიაზე რას იტყვი?**

— რა უნდა ვთქვა?! პატარაობაში უფრო სხვანაირად ვუყურებდი მამას. რა ვიცი, ასეთი თავდამსხმელი საქართველოს არ ჰყოლია. მაგრამ მე რომ გოლი გავიტანე, ისეთზე ვერასდროს იოცნებებს.

*რამაზი:* რა გადამაყოლა ამ გოლს. მანახოს ვინმემ, რა გაიტანა ასეთი.

*გიორგი:* რვაასი გოლი გაქვს გატანილი და არ შემარგო ახლა ერთი ჩხინკი გოლი.

*რამაზი:* რა თქმა უნდა, გიორგის კარგი თამაში ყოველთვის მიხარია. მით უმეტეს, როცა ლამაზი გოლი გააქვს. ტელევიზორში ფეხბურთს რომ ვუყურებ და ლამაზი გოლი გადის, სიხარულისგან მეცხრე ცაზე ვარ.

**— აბა, არ მოიწყენთ. შვილი თავდამსხმელი გყავთ და სიძე სულაც ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი ბომბარდირია...**

— რეზო გოცირიძეს ენაცვალოს ჩემი თავი, შვილივით მიყვარს და, ცხადია, ძალიან მიხარია, ამდენი გოლი რომ გააქვს. რა მნიშვნელობა აქვს, ის გოლი საქართველოს ჩემპიონატში გადის თუ უცხოეთში, გოლი გოლია. რითიც გინდა, იმით გაიტანე, როგორც გინდა, ისე გაიტანე, ოღონდ ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთოს. ეს არის ჩემი კრედო. ფეხბურთში მთავარი შედეგია. საერთოდ არ მაინტერესებს, როგორ ითამაშებ. ბურთი ძელს ათჯერ თუ მოხვდება, მაგრამ 0:1-ს წააგებ, ეს არაფერში არ გეთვლება. მე გოლის ნახვა მინდა.

**— ფეხბურთელების უმეტესობა კარიერის შემდეგ ისევ ფეხბურთში რჩება, უმეტესად მწვრთნელად. თქვენ რატომღაც საერთოდ ჩამოშორდით ფეხბურთს...**

— ხდება ხოლმე, როცა რაღაც სფეროში საკუთარ თავს ვერ იპოვი. მივხვდი, რომ ეს ჩემი საქმე არ იყო. ამაში უკვე დავრწმუნდი. მწვრთნელობა ჩემში არ ზის. შეიძლება, ორგანიზაციული საკითხები მოვაგვარო ან მსგავსი რამ გავაკეთო, მაგრამ მწვრთნელად ვერ ვიმუშავებ.

**— რას უსურვებთ ფეხბურთელ გიორგის?**

— მინდა, რომ ცხოვრებაში რაღაცას მიაღწიოს. ნაკრებში თუ ითამაშებს, ამით უბედნიერესი კაცი ვიქნები. ძალიან უყვარს ფეხბურთი, ამით ცხოვრობს. სხვა არაფერი აინტერესებს, სულ ფეხბურთი და ფეხბურთი. შვილი რომ არის, იმიტომ არ ვამბობ, მაგრამ მართლა კარგი ხასიათის ბიჭია.

**— მამას ჰგავს?**

— მამას მართლა ჰგავს. მეც ასე ვიყავი, თუ საქმე არ გიყვარს, ვერაფერს მიაღწევ. წარმატება ჰაერიდან არ მოდის. გიორგის ეს შეუძლია, მაგრამ პირველ რიგში პიროვნება უნდა იყოს. ფულს რომ აიღებს, მირჩევნია, სახლში ასი ლარით ნაკლები მოიტანოს და ის ფული ვინმე გაჭირვებულს მისცეს. მე არ უნდა ვხედავდე ქუჩაში ქართველ კაცს, ვინც ნაგავში იქექება და ლუკმას ეძებს. გიორგიმ და მისმა თანატოლებმა უნდა უშველონ ამ ქვეყანას. ეს ჩვენი ქვეყანაა, ჩვენი ერია, ჩვენი ხალხია... ეს ხალხი მეცოდება. საქართველო ამ დღეში არ უნდა იყოს, არ ეკადრება და იმიტომ. მეც ის მინდა, რომ თუ გიორგი ფეხბურთში ფულს იშოვის, ქველმოქმედება არ დაავიწყდეს. მე ასე თუ ისე არ მიჭირს, სხვას კი... გიორგიმ სხვისი დახმარება უნდა შეძლოს. ეს არის ჩემი სურვილი.

*გიორგი:* მამამ რაც ჩაიფიქრა, ყველაფერი აისრულა. დიდი ფეხბურთელი იყო, ბევრი წარმატება ჰქონდა. ახლა ტკბილ სიბერეს, ჯანმრთელობას და ბედნიერებას თუ ვუსურვებ.

*ეს იყო და, ჩვენს მასპინძლებს კეთილი სურვილებით უნდა დავშორებოდით, ოთახში ისევ პატარა რამაზი რომ შემოიჭრა...*

**— გიორგი, მომავალი ფეხბურთელი გვეზრდება?**

— რა ვიცი, სურვილი მაქვს. ისე, 30 ოქტომბერს, მარადონას დაბადების დღესაა დაბადებული, თან ბაბუაც ამხელა კაცი ჰყავს და ამან თუ ვერ ითამაშა...

**ბახა შალამბერიძე**





# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩი.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ესპანურმა „მარკამ“ დეპორტივოელები გმირებად შერაცხა




ჟორჟე ანდრადემ ბურთი ფეხზე ისე მიიწება, იონ დალ ტომასონს პირი დააღებინა

# სადაც შენი სან სირო, იქაც ჩემი რიასორი

**დეპორტივო** (ლა კორუნია, ესპანეთი) 4:0 **მილანი** (იტალია) (1:4)
1:0 პანდიანი (5), 2:0 ვალერონი (35), 3:0 ლუკე (44), 4:0 ფრანი (76)
**დეპორტივო:** მოლინა, მანუელ პაბლო, ჟორჟე ანდრადე, ნაიბეტი, რომერო, სერხიო (დუშერი 87), ვიქტორი, მაურო სილვა, ვალერონი (ჯალმინია 90), პანდიანი, ლუკე (ფრანი 66)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
**მილანი:** დიდა, კაფუ, ნესტა, მალდინი, პანკარო (რუი კოშტა 77), გატუზო, პირლო (სერჟინიო 60), ზეედორფი, კაკა, შევჩენკო, ტომასონი (ინძაგი 67)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: პირლო (55), ვიქტორი (67), პანდიანი (83)
მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)
29 000 მაყურებელი

ასე იწერება ისტორია! ხომ 'ნახეთ, „დეპორტივო ლა კორუნიამ“ რა ჩაიდინა? ხომ ნახეთ, როგორ შემოატრიალა თვით „სან სიროზე“ წაგებული 1:4? ვიმეორებთ, „სან სიროზე“, „მილანთან“ და არა სადღაც ვილაცასთან. სადაც შენი „სან სირო“, იქაც ჩემი „რიასორიო“ და მიუხედავად იმისა, რომ „მილანი“ ყოველთვის „მილანად“ დარჩება, „სან სირო“ კი „სან სიროდ“, 4:0 გაანადგურა მოწინააღმდეგე.

აქ, შეუძლებელია არ გაგვახსენდეს როგორ უნერგავდნენ სიძაბუნესა და უსუსურობას ესპანეთიდან მოშორებული ერთი ესპანელსავით იბერიული ქვეყნის მწვრთნელები თავიანთ ფეხბურთელებს კარგა ხნის განმავლობაში. რა არ მოიგონეს მაშინ, პირველი გაშვებული გოლის ფაქტორი დაუძლეველიაო და მთელი ამბავი. არადა, როგორც ჩანს, იმავე პერიოდში ესპანელი კაცი (სხვათა შორის, ჩვეულებრივი კაცი) ხავიერ ირურეტა თავის ბიჭებს საპირისპიროს უჩიჩინებდა და აჰა, დაუძლეველი ოთხი (!) გაშვებული გოლის ფაქტორიც კი არ ყოფილა.

თუმცა, დავანებოთ ამ თემას თავი. თორემ ნერვები გაგვიფუჭდება. სჯობს, დასავლეთის იბერიაში, „რიასორზე“ დავბრუნდეთ და გამოვთქვათ მცირე ეჭვი, რომ „მილანი“ ამ შეხვედრას ცოტა გაპრანჭული შეხვდა. კერძოდ, აი, რას ვგულისხმობთ: მოგვეჩვენა, რომ „მილანმა“ „დეპორტივოსთვის“ იმის დამტკიცება სცადა, ყველგან და ყველა ვითარებაში შენზე ძლიერი ვარო. ზოგადად იტალიური გუნდები და კერძოდ, „მილანი“ საკუთარი შეტევების შექმნის გარდა მეტოქეთა მოგუდვით გამოირჩევიან. აქ, ცხადია, საკუთარ საჯარიმოსთან გაშეშებაზე არ არის ლაპარაკი, აქ საუბარია ცენტრს აქეთ ბურთის ართმევის მახრჩობელა მეთოდებზე, რომლებსაც, ვიმეორებთ, „მილანი“ დიდებულად ფლობს და რომლებიც ამჯერად არ გამოიყენა. ან იქნებ ვერ გამოიყენა? გაიხსენეთ, როგორ ითამაშეს „შავ-წითლებმა“ სერია A-ს ბოლო ორ ტურში, „კიევოსთან“ და „მოდენასთან“ შეხვედრები ფრედ დაასრულეს, ანუ ამ ორი თამაშის საფუძველზე გადაღლაზე საუბარიც შეიძლებოდა, მაგრამ მეორე მხრივ, „რიასორზე“ მილანელთა შემადგენლობა იწვევდა ეჭვს: კაკას, შევჩენკოს და იონ დალ ტომასონის ერთად თამაში შესაძლოა, მიგვანიშნებდა იმაზე, რომ იტალიელებს საპასუხო შეხვედრაშიც ულაპარაკოდ გამარჯვების პრეტენზია ჰქონდათ. არა, ეს ცხადია, კარგია, მაგრამ გამარჯვების მეთოდზე მოგახსენებთ, მოგება ხომ მაინცდამაინც, ბრაზილიურ-ესპანური მეთოდით არ მოიპოვება.

თუმცა, შესაძლოა, მთელი ეს ვარაუდი არასწორი გამოგვივიდა და არც მილანელთა შეცვლებზე უნდა გამოვთქვათ ეჭვი. კერძოდ, ანდრეა პირლოს სერჟინიოთი შეცვლაზე გვინდოდა გვეკითხა, მაგრამ ამაზე, მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე იტალიელმა ჟურნალისტებმა ჰკითხეს კარლო ანჩელოტის, რომელმაც ასე უპასუხა, შემეშინდა პირლოს მეორე ყვითელი არ მიეღო და მოედნიდან არ გაეგდოთო. ნუ, პრინციპში, აქ ანჩელოტიმ მიზანს მიაღწია.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ „დეპორტივომ“ მეტოქე ულაპარაკოდ დაამარცხა. ესპანელებმა დიდებული ჟინი, მობილიზების უნარი, ღირსების გრძნობა, გუნდურობა, ტაქტიკური განსწავლულობა, ტექნიკა, ფსიქოლოგიური მომზადება და ბევრი სხვა თვისება გამოავლინეს, ხოლო „მილანს“ არ გაუმართლა, ამ დღეს მის სასარგებლოდ არაფერი მომხდარა და შედეგიც შესაფერისი გამოვიდა. რა გაეწყობა, ასეთი რამ, როგორც ჩანს, დიდ გუნდებსაც ემართებათ.

**პაპუნა ძიძია**



## ხავიერ ირურეტა

*სანტიაგოს ტაძრისკენ მლოცველის გზას გავივლი და სანთელს დავანთებ — რაც „რიასორზე“ მოხდა, სასწაული იყო, ამაში ღვთის ხელი ერია. დიდებული პირველი ტაიმი ჩავატარეთ, კარგი იყო მეორე ტაიმიც, ბიჭებმა ყველაფერი ჭკვიანურად გადაწყვიტეს.*

*„მილანი“ ძლიერი გუნდია და მის წინააღმდეგ დიდი სიფრთხილე იყო საჭირო. არაფრით არ უნდა დაგვევიწყებინა ის რვა წუთი, რომლის განმავლობაშიც პირველ მატჩში იტალიელებმა სამი გოლი გაგვიტანეს. მათთვის ამოსუნთქვის საშუალება რომ მიგვეცა, ნებისმიერ წუთს გაგვიტანდნენ საბედისწერო გოლს. ერთი სიტყვით, უპირატესობა ბოლომდე უნდა შეგვენარჩუნებინა და ეს შევძელით, რამაც ძალიან გამახარა.*

*რაც შეეხებათ ფეხბურთელებს, ფანტასტიკური იყო ანდრადე, თუმცა თავი არც დანარჩენებს დაუზოგავთ. გამოგიტყდებით, გამარჯვებაზე ვფიქრობდი. იცით, როგორც ესპანელი, „რეალის“ დამარცხებამ გული დამწყვიტა, მაგრამ მეორე მხრივ, „მონაკოს“ გმირობამ სტიმული მომცა.*

*ახლა ჩემპიონთა ლიგას ესპანეთის პრიმერადივიზიონიდან მხოლოდ ჩვენ შემოვრჩით და ამიტომ ნახევარფინალში გასვლას მთელს ქვეყანას ვულოცავ“.*

## კარლო ანჩელოტი

*დღეს ჩვენ მოგვიხდა იმ გუნდის წინააღმდეგ თამაში, რომელსაც ზღაპრული საღამო ჰქონდა და ყველაფერი კარგად მიუდიოდა. ცხადია, რამდენიმე შეცდომა ჩვენც დავუშვით, მაგრამ დანარჩენი აუხსნელი და წარმოუდგენელი იყო.*

*პირველი გოლი უსიამოვნოდ მალე გავუშვით, მაგრამ გონს დროულად მოვეგეთ. მეორემ კი ნამდვილად ცუდად იმოქმედა, ამ გოლმა „დეპორტივო“ გაამხნევა, თუმცა უნდა ითქვას, რომ მეორე და მესამე გოლები ჩვენი შეცდომების ბრალი იყო.*

*და მაინც, პირველი ტაიმის დასრულებამდე დარწმუნებული ვიყავით, რომ შემდეგ ეტაპზე გავიდოდით. ჩვენ საკუთარი სტილისთვის არ გვიღალატია, მაგრამ ლაკორუნიელთა დაჯაბნა წარმოუდგენელი იყო. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ამ ტემპით თუ ითამაშებს, „დეპორტივოს“ „პორტუსთან“ დიდი უპირატესობა ექნება და ნესით თასიც უნდა მოიპოვოს.*

*რაც შეეხება პირლოს გაყვანას: ის უკვე გაფრთხილებული იყო და ასეთი გაუწონასწორებელი გუნდის პირობებში დიდი რისკი იყო, რომ გააძევებდნენ. ჩვენ გუნდში ახალი წონასწორობის შემოღება ვცადეთ, მაგრამ ამანაც არ გაამართლა.*

*პირლო სხვა დროსაც დაუკეტიათ, მაგრამ გამოსავალი მოგვიძებნია, ამჯერად ეს არ გამოვიდა. საერთოდაც, აქ პირლო სულაც არ იყო პრობლემა, აქ პრობლემა იყო მეტოქე, რომელმაც მთელი 90 წუთის განმავლობაში მოედანზე დაუკავებელი სანტიმეტრი არ დატოვა.*

*მერედა, ჩვენ მაინცდამაინც დაკუნთული ფეხბურთელებიც არ გვყავდა. აი, მასიმო ამბროზინი იქნებოდა ძალიან სასარგებლო, მაგრამ, სამწუხაროდ, ის დაშავებულია. არა მგონია, რომ შემადგენლობას წინა თამაშებთან შედარებით დიდი შეცვლა სჭირდებოდა. ახლა ფეხბურთელების სიმშვიდე იქნება ამ ყველაფრიდან საუკეთესო გამოსავალი.*



## ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ის მე გავიტანე



### ვალერონი

ბიჭებმა საოცარი თავდაჯერებულობით ითამაშეს, ყველამ იცოდა, იტალიელების წინაალმდეგ რა უნდა გაეკეთებინა. პირველმა გოლმა საკუთარ ძალებში დაგვარწმუნა და საბოლოო გამარჯვების იმედიც მოგვცა.

### ჯალმინია

მინდორზე მთელი გუნდი როგორც ერთი კაცი, ისე გავიდა — ფრეზე ან მით უმეტეს, წაგებაზე არავის უფიქრია. პირველ ტაიმში „რიასორზე“ დაუჯერებელი ამბები ხდებოდა, რამაც ნახევარფინალური იმედები უფრო განგვიმტკიცა. კარგია, რომ პირველებმა გავიტანეთ, ასე დაბნეული „მილანი“ ადრე არასდროს მინახავს. მეორე ნახევარშიც არ მოვდუნებულვართ, ხომ შეიძლებოდა იტალიელებს თამაშის შემოტრიალება მოეხერხებინათ? ფეხბურთი კი სწორედ იმიტომ არის განუმეორებელი, რომ წინასწარ ვერაფერს დაგეგმავ და ვერაფერს განსაზღვრავ — საამსეზონო ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისტებიდან სამს მაინც გათამაშების დასაწყისში ფავორიტად არავინ მიიჩნევდა.

### მაურო სილვა

ყველა დეპორტივოელისთვის ბედნიერი და დაუვიწყარი დღეა. ახლა ლიგის ფინალში მოსახვედრად უნდა ვიბრძოლოთ — ის, რაც „მილანთან“ გავაკეთეთ, „პორტუსთანაც“ თავისუფლად შეგვიძლია. აღფრთოვანებული ვარ ჩემი გუნდით — როდესაც გულით მოვინდომებთ, თვით ყველაზე დიდი გუნდიც ვერ დაგვიდგება წინ. ჰო, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვიფიქროთ, რომ „პორტუ“ უკვე დამარცხებული გვყავს, ასე მადრიდის „რეალმა“ და „მილანმა“ ჩათვალეს „მონაკოსთან“ და ჩვენთან და რაც მოიმკეს, ყველამ კარგად იცის.

### ვალტერ პანდიანი

ფეხბურთი ამ ბოლო დროს ძალიან შეიცვალა. თამაშებს იგებს ის, ვინც მოედანზე თავგანწირით იბრძვის და არა ის, ვინც მხოლოდ ვარსკვლავების იმედზეა. სწრაფი გოლი გვჭირდებოდა და მოხარული ვარ, რომ ის მე გავიტანე. ვერ წარმოვიდგენდი, თუ პირველ 45 წუთში უკვე ნახევარფინალში ვიქნებოდით. ახლა კი „პორტუსთან“ გამარჯვებასა და ფინალზე ფიქრიც შეიძლება.

### ვიქტორი

მატჩის შემდეგ გასახდელში პირველი წინადადება, რაც ითქვა, იყო: „დეპორმა“ ლიგა აუცილებლად უნდა მოიგოს!“ დიდი ხანია, ასე ბედნიერად თავი არ მიგრძნია, სიხარულისგან შეშლილებივით გავყვიროდით. მთელი ორი ტაიმის განმავლობაში „რიასორის“ სრული ბატონ-პატრონნი ვიყავით. გალისიურ ინჩასობას დაუვიწყარი დღესასწაული ვაჩუქეთ.



როი მაკაიმ ყოფილი თანაგუნდელების სიხარული გულით გაიზიარა

### მანუელ პაბლო

ჩვენ ამ საგანგებო შემთხვევაში საგანგებოდ გავერთიანდით და პირველივე წუთებიდან ჟინი და ლტოლვა გამოვამჟღავნეთ. მეორე მხრივ, მხოლოდ ის გავაკეთეთ, რომ ფინალს მივუახლოვდით, მაგრამ ფინალში ჯერ არ ვართ. ახლა ამ წერტილიდან წინ უნდა გავვარდეთ, გამარჯვებაზე ლაპარაკი კი აქვე უნდა დავამთავროთ.

### კაფუ

ძნელი ასახსნელი და დასაჯერებელია, მაგრამ შედეგი ვიცით და გამოდის, რომ რაც მოხდა, ფაქტია. ხოლო შედეგი მეტოქის დიდ ოსტატობაზე მეტყველებს.



ვიქტორი და ვალერონი

**დღევანდელი მოუნხენიდან**

### როი მაკაი

ჩემს ყოფილ თანაგუნდელებს გამარჯვებას ვულოცავ — „დეპორტივომ“ ნაღდი სასწაული მოახდინა. ჯერ „იუვენტუსი“, მერე „მილანი“. „დეპორი“ ბრწყინვალე გუნდია, რასაც ნახევარფინალში და მჯერა, ფინალშიც დაამტკიცებს“.

# გამოუსწორებელთა თავშესაფარი

*ალბერტ ლუკემ „მილანს“ ის გოლი გაუტანა, რომელმაც „დეპორტივოს“ ნახევარფინალისკენ გაუხსნა გზა. გოლი გოლად და, გალისიელთა მარცხენა ნახევარმცველმა იმდენი იშრომა, სენსაციური 4:0 მასზე და „დეპორტივოზე“ ნაღდად ალალია*

— „მილანისთვის“ გოლი გატანა თქვენთვის უკვე ისტორიაში მოხვედრას ნიშნავს?

— ვაღიარებ, რომ ასეა. პირველი ტაიმის მერე ტაბლოზე 3:0 ეწერა, სანახევარფინალოდ ესეც საკმარისი იყო, მაგრამ იტალიელებს მატჩის ბოლომდე მაინც მთელი შემართებით ვეთამაშეთ. ყურადღების გაფანტვა დაგვღუპავდა — „მილანი“ არაა ის გუნდი, რომელიც მეტოქეებს შეცდომებს პატიობს. საბედნიეროდ, იტალიელებმა 90 წუთის განმავლობაში ვერაფრით ვერ მოახერხეს მოლინას საჯარიმოსთან ნამდვილი, სახიფათო იერიშების მოწყობა...

— „სან სიროზე“ მძიმე 1:4-ის მერე ასეთი ანგარიშით გამარჯვებისა მაინც გჯეროდათ?

— მინდა, ერთი რამ ყველამ გითხრათ — გუნდი, რომელიც თავის შესაძლებლობებში სრულადაა დარწმუნებული, რომელსაც არავისი არ ეშინია და რომელიც მიზნის მისაღწევად მინდორზე სასწაულებს სჩადის, გამორიცხულია, საფეხბურთო ფორტუნამ არ დაასაჩუქროს. „დეპორტივო“ გამოუსწორებელ ოპტიმისტთა თავშესაფარია. აქ თქვენ ვერსად გაიგებთ — „ვაითუ, ვერ მოვიგოთ“ ან მით უმეტეს — „მოწინააღმდეგე ძლიერია და წაგება არ აგვცდება“. „რიასორზე“ ყველაზე პოპულარული სიტყვა „გამარჯვებაა“. რა თქმა უნდა, ვიცოდით „მილანის“ ძალა, მეც და სხვებსაც გულის სიღრმეში ალბათ გვეშინოდა კიდეც, თუმცა ყველაფერი ბედნიერად დასრულდა.

**— ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე თუ ფიქრობთ?**

— რატომაც არა. „მილანი“, „იუვენტუსი“, „არსენალი“, „რეალი“ — მითხარით, სად არიან ახლა ეს გუნდები? „დეპორი“ კი ნახევარფინალშია. თუ იტალიური გრანდები დავამარცხეთ, ესე იგი, „პორტუსთანაც“ და მერე ფინალშიც შეიძლება მოგება.

**— ახლა რას აპირებთ?**

— დამსახურებული გამარჯვებით გახარებას, ზეიმს. ირურეტამ ერთი დღით გაგვათავისუფლა, ამგვარი ამბები ხომ ყოველდღე არ ხდება...

**— შესვენებისას გასახდელში რა ხდებოდა?**

— ყველანი საბრძოლველად ვიყავით განწყობილნი და ერთი სული გვქონდა, სანამ მოედანზე დავბრუნდებოდით. უცნაური შეგრძნებაა, როცა შესვენება იწელება... წარმომიდგენია, ამ დროს ინჩასები რა დღეში იქნებოდნენ. მინდა, ყველა დეპორტივოელს გამარჯვება მივულოცო.



ლუკესთან გამკლავება კაფუსაც კი უჭირდა

## ჩემპიონთა ლიგა 2003-2004
## მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩი

# მე ვხედავ ფინალს
## მაურინიუმ 5:0 შეუკვეთა

ლიონი (საფრანგეთი) 2:2 *პორტუ (პორტუგალია)* (0:2)
0:1 მანიშე (6), 1:1 ლუინდულა (14), 1:2 მანიშე (47), 2:2 ელბერი (90)
ლიონი: კუპე, ედმილსონი, მიულერი, ბერტოდი, ესიენი (რეველიერი 60), მ. დიარა, დორასო (დეფლანდრე 76), მალუდა, ჟუნინიო პერნამბუკანო (ბერგონო 60), ელბერი, ლუინდულა
მწვრთნელი: პოლ ლე გუენი
პორტუ: ვიტორ ბაია, პ. ფერეირა, ჟორჟე კოშტა, რ. კარვალიუ, ნუნუ ვალენტე, მანიშე, კოშტინია, ალენიჩევი, დეკო სოუზა (პ. მენდეში 76), მაკკარტი (იანკაუსკასი 57), კარლოს ალბერტო (პედრუ ემანუელი 47)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
გაფრთხილება: დეკო სოუზა (12), ჟორჟე კოშტა (39), ვიტორ ბაია (45), ჟუნინიო პერნამბუკანო (48), ედმილსონი (70, 74)
გაძევება: ედმილსონი (74)
მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)
40 000 მაყურებელი


მანიშე რიბეირუ

„პორტუმ" კვლავ გამართული ფეხბურთი ითამაშა და დაამტკიცა, რომ სულ ცოტა, ნახევარფინალში იმსახურებს ადგილს. ნახევარფინალიდან ფინალამდე ერთი ნაბიჯია და ჟოზე მაურინიუმ სურვილი გაამხილა: „ჩვენ „მანჩესტერ იუნაიტედი" და „ლიონი" დავამარცხეთ. ბოლო ათ ევროპულ მატჩში მხოლოდ ერთხელ წავაგეთ, ამიტომ ფინალში თამაშის პრეტენზიაც გვაქვს. ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „პორტუს" გასვლა სრულიად პორტუგალიის წარმატებაა".

|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 411 | ლეობენი-კაპფენბერგი | 2,5 | 3,1 | 2,45 | 1,38 | 1,23 | 1,36 |

### დანია. სუპერლიგა. XXV ტური

11 აპრილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 430 | კოპენჰაგენი-ფრემი | 1,15 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,03 | 3,33 |

12 აპრილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 431 | ოლბორგი-ორჰუსი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 18.00 | 432 | ნორდსიელანდი-ვიბორგი | 2,1 | 3,3 | 3,1 | 1,28 | 1,25 | 1,59 |
| 18.00 | 433 | ჰერფიოლგე-აკადემისკი | 1,6 | 3,6 | 4,2 | 1,1 | 1,15 | 1,93 |
| 18.00 | 434 | მიდტიულანდი-ოდენსე | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 20.35 | 435 | ესბიერგი-ბრიონდბიუ | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |

### შვედეთი. ალსვენსკა. II ტური

9 აპრილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 450 | გოტებორგი-ელფსბორგი | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 18.00 | 451 | ჰალმსტადი-ტრელებორგი | 1,5 | 3,6 | 6,0 | 1,05 | 1,2 | 2,25 |
| 18.00 | 452 | მალმიო-ორებრო | 1,4 | 4,0 | 6,5 | 1,03 | 1,15 | 2,47 |

### ნორვეგია. ტიპელიგა. I ტური

12 აპრილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 458 | ოდ გრენლანდი-სტაბეკი | 2,1 | 3,3 | 3,1 | 1,28 | 1,25 | 1,59 |
| 21.00 | 459 | ტრომსიო-ვიკინგი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 21.00 | 460 | სოგნდალი-ჰამარი | 1,7 | 3,4 | 4,4 | 1,13 | 1,22 | 1,91 |
| 21.00 | 461 | ლილესტრიომი-ფრედრიკსტადი | 1,55 | 3,6 | 5,3 | 1,08 | 1,19 | 2,14 |
| 21.00 | 462 | მოლდე-ლინი | 2,05 | 3,3 | 3,2 | 1,26 | 1,24 | 1,62 |
| 23.15 | 463 | როზენბორგი-ბრანი | 1,3 | 4,6 | 8,0 | 1.01 | 1,11 | 2,92 |

### ნორვეგია. I დივიზიონი. I ტური

12 აპრილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 466 | ალესუნდი-ჰაუგესუნდი | 1,7 | 3,6 | 3,8 | 1,15 | 1,17 | 1,84 |
| 21.00 | 467 | ბრინი-მანდალი | 2,0 | 3,5 | 3,0 | 1,27 | 1,2 | 1,61 |
| 21.00 | 468 | ჰიონეფოსი-სტრომსგოდსეტი | 2,0 | 3,5 | 2,9 | 1,27 | 1,18 | 1,58 |
| 21.00 | 469 | კონგსვინგერი-სკეიდი | 2,05 | 3,4 | 3,0 | 1,27 | 1,21 | 1,59 |
| 21.00 | 470 | მოსი-რაუფოსი | 1,75 | 3,5 | 3,6 | 1,16 | 1,17 | 1,77 |
| 21.00 | 471 | სანდეფიორდი-ჰიოდი | 1,3 | 4,6 | 7,0 | 1,01 | 1,09 | 2,77 |
| 21.00 | 472 | სტარტი-პორს გრენლანდი | 1,25 | 4,8 | 8,0 | 1 | 1,08 | 3 |
| 21.00 | 473 | ვარდ ჰაუგესუნდი-ტრომსდალენი | 1,85 | 3,4 | 3,4 | 1,19 | 1,19 | 1,7 |

### ირლანდია. პრემიერლიგა. V ტური

9 აპრილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 482 | უოტერფორდი-ლონგფორდი | 2,0 | 3,2 | 3,2 | 1,23 | 1,23 | 1,6 |
| 23.45 | 483 | დროგედა-შემროკი | 2,4 | 3,1 | 2,6 | 1,35 | 1,24 | 1,41 |
| 23.45 | 484 | შელბურნი-დუბლინი | 1,25 | 4,4 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,05 |
| 23.45 | 485 | სტ.პატრიკსი-კორკი | 2,05 | 3,2 | 3,2 | 1,24 | 1,24 | 1,6 |

10 აპრილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 486 | დერი-ბოჰემიანი | 3,1 | 3,2 | 2,05 | 1,57 | 1,23 | 1,24 |

### თურქეთი. სუპერლიგა. XXIX ტური

9 აპრილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 492 | რიზე-ფენერბაჩე | 5,6 | 3,6 | 1,45 | 2,19 | 1,15 | 1,03 |

10 აპრილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 493 | ისთანბული-ელაზიგი | 1,75 | 3,4 | 3,8 | 1,15 | 1,19 | 1,79 |
| 16.30 | 494 | ბურსა-ტრაბზონი | 3,5 | 3,3 | 1,85 | 1,69 | 1,21 | 1,18 |
| 21.00 | 496 | ანკარაგიუჯუ-გალათასარაი | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,22 | 1,37 |

11 აპრილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 498 | მალათია-დიარბაქირი | 2,1 | 3,3 | 3,0 | 1,28 | 1,23 | 1,57 |
| 16.30 | 499 | დენიზლი-გაზიანთეფი | 2,0 | 3,3 | 3,2 | 1,24 | 1,23 | 1,62 |
| 21.00 | 500 | ბეშიქთაში-გენჩლერბირლიგი | 1,35 | 4,0 | 5,3 | 1 | 1,07 | 2,27 |

### რუსეთი. პრემიერლიგა. VI ტური

10 აპრილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 513 | ცსკა-ყუბანი | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| 16.00 | 514 | რუბინი-კრილია | 1,95 | 2,9 | 4,0 | 1,16 | 1,31 | 1,68 |
| 16.00 | 515 | სატურნი-ლოკომოტივი | 2,6 | 2,8 | 2,6 | 1,34 | 1,3 | 1,34 |
| 16.00 | 516 | მოსკოვი-როსტოვი | 1,7 | 3,1 | 4,8 | 1,09 | 1,25 | 1,88 |

11 აპრილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 517 | ამკარი-ზენიტი | 3,2 | 2,8 | 2,25 | 1,49 | 1,32 | 1,24 |
| 16.00 | 518 | როტორი-ალანია | 1,75 | 3,0 | 4,6 | 1,1 | 1,26 | 1,81 |
| 16.00 | 519 | შინიკი-დინამო | 2,6 | 2,8 | 2,6 | 1,34 | 1,3 | 1,34 |
| 16.00 | 520 | ტორპედო-სპარტაკი | 2,9 | 2,8 | 2,4 | 1,42 | 1,31 | 1,29 |

### უკრაინა. პრემიერლიგა. XX ტური

10 აპრილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 523 | შახტარი-დინამო | 2,4 | 2,8 | 2,8 | 1,29 | 1,29 | 1,4 |

### ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა. XXV ტური

10 აპრილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.25 | 533 | ბანიკი-იაბლონეცი | 1,3 | 4,2 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,75 |
| 23.00 | 534 | სლავია-ტეპლიცე | 1,3 | 4,2 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,75 |
| 23.00 | 535 | სინოტი-ბუდეიოვიცე | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |

11 აპრილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13.15 | 536 | ჟიჟკოვი-ოპავა | 1,5 | 3,6 | 5,0 | 1,05 | 1,15 | 2,09 |
| 19.30 | 537 | ბლშანი-სიგმა | 2,5 | 2,9 | 2,6 | 1,34 | 1,27 | 1,37 |
| 20.00 | 538 | ბრნო-ზლინი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 20.00 | 539 | ლიბერეცი-პრშიბრამი | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |

12 აპრილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.40 | 540 | პლზენი-სპარტა | 6,5 | 4,0 | 1,4 | 2,47 | 1,15 | 1,03 |

### სლოვაკეთი. I ლიგა. XXV ტური

10 აპრილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 543 | პუხოვი-ჟილინა | 2,4 | 3,0 | 2,4 | 1,33 | 1,2 | 1,33 |
| 18.30 | 544 | რუჟომბეროკი-დუბნიცა | 1,6 | 3,2 | 5,0 | 1,06 | 1,21 | 1,95 |
| 18.30 | 545 | ინტერი-პეტრჟალკა | 2,2 | 3,0 | 2,9 | 1,26 | 1,25 | 1,47 |
| 18.30 | 546 | ტრნავა-სლოვანი | 1,6 | 3,2 | 5,0 | 1,06 | 1,21 | 1,95 |

11 აპრილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 547 | ტრენჩინი-ბ.ბისტრიცა | 2,4 | 3,0 | 2,6 | 1,33 | 1,24 | 1,39 |

### პოლონეთი. I ლიგა. XVIII ტური

10 აპრილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 579 | კატოვიცე-ლეჩნა | 1,85 | 3,1 | 3,6 | 1,15 | 1,22 | 1,66 |
| 20.00 | 580 | ამიკა-გურნიკი | 1,35 | 3,8 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,52 |
| 20.00 | 581 | პოლონია-ვიძევი | 2,0 | 3,1 | 3,3 | 1,21 | 1,24 | 1,59 |
| 20.00 | 582 | სვიტი-ოდრა | 2.6 | 2.9 | 2.5 | 1.37 | 1.27 | 1.34 |
| 20.00 | 583 | პლოცკი-ვისლა | 4.4 | 3.7 | 4.7 | 1.85 | 1.22 | [illegible] |
| 21.15 | 584 | გროცლინი-ლეხი | 1.4 | 3.8 | 6.5 | 1.02 | 1.15 | 2.39 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

### შოტლანდია

თასი. 1/2 ფინალი

10 აპრილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 657 | ინვერნესი-დანფერმლაინი | 4,2 | 3,3 | 1,75 | 1,84 | 1,23 | 1,14 |

11 აპრილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 657 | ლივინგსტონი-სელტიკი | 12,0 | 5,3 | 1,15 | 3,67 | 1,04 | 1 |

### ავსტრია

თასი. 1/8 ფინალი

10 აპრილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 659 | კერნტენი-ზალცბურგი | 2,25 | 3,2 | 2,8 | 1,32 | 1,24 | 1,49 |
| 18.30 | 660 | შტურმი-ბრეგენცი | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |
| 18.30 | 661 | მატერსბურგი-აუსტრია | 3,8 | 3,3 | 1,8 | 1,76 | 1,22 | 1,16 |

### შვეიცარია. თასი. ფინალი

12 აპრილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 662 | გრასჰოპერი-ვილი | 1.75 | 3,3 | 4,2 | 1,14 | 1,23 | 1,84 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5210 | არსენალი-ლივერპული | 1.85 | 1.75 |
| 5211 | ევერტონი-ტოტენჰემი | 1,75 | 1,85 |
| 5212 | ბირმინგემი-მანჩესტერი | 1.85 | 1.75 |
| 5213 | ბლექბერნი-ლიდსი | 1.85 | 1,75 |
| 5214 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 1.7 | 1.9 |
| 5215 | ჩარლტონი-პორტსმუთი | 1,85 | 1,75 |
| 5216 | ჩელსი-მიდლსბრო | 1,9 | 1.7 |
| 5217 | ლესტერი-ფულემი | 1,7 | 1,9 |
| 5218 | სიტი-ვულვერჰემპტონი | 1,9 | 1.7 |
| 5227 | აინტრახტი-ვერდერი | 1,95 | 1,65 |
| 5228 | ბოხუმი-მიუნხენი | 1,9 | 1,7 |
| 5229 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 1,95 | 1,65 |
| 5230 | ჰერტა-ვოლფსბურგი | 1,95 | 1,65 |
| 5231 | ლევერკუზენი-კაიზერსლაუტერნი | 2.2 | 1,5 |
| 5232 | ჰანზა-მიონხენგლადბახი | 1,95 | 1,65 |
| 5233 | ბაიერნი-შალკე | 2.0 | 1.6 |
| 5234 | ფრაიბურგი-შტუტგარტი | 1,95 | 1,65 |
| 5235 | ჰანოვერი-კიოლნი | 1,95 | 1,65 |
| 5236 | ანკონა-ბოლონია | 1,85 | 1.75 |
| 5237 | ბრეშა-მოდენა | 1,8 | 1,8 |
| 5238 | მილანი-ემპოლი | 1,95 | 1,65 |
| 5239 | პარმა-ლეჩე | 1,9 | 1,7 |
| 5240 | რეჯინა-უდინეზე | 1,7 | 1,9 |
| 5241 | რომა-კომო | 1,85 | 1,75 |
| 5242 | სიენა-სამპდორია | 1,65 | 1,95 |
| 5243 | იუვენტუსი-ლაციო | 1,9 | 1,7 |
| 5244 | პერუჯა-ინტერი | 1,85 | 1,75 |
| 5245 | ვალიადოლიდი-ბარსელონა | 1,8 | 1,8 |
| 5246 | მალაგა-ატლეტიკო | 1,8 | 1,8 |
| 5247 | სელტა-სევილია | 1,8 | 1,8 |
| 5248 | ესპანიოლი-ალბასეტე | 1,75 | 1,85 |
| 5249 | ვილიარეალი-დეპორტივო | 1,8 | 1,8 |
| 5250 | ბეტისი-მალიორკა | 1,7 | 1,9 |
| 5251 | სოსიედადი-მურსია | 1,85 | 1,75 |
| 5252 | რასინგი-ბილბაო | 1,9 | 1,7 |
| 5253 | სარაგოსა-ვალენსია | 1,7 | 1,9 |
| 5254 | რეალი-ოსასუნა | 2,0 | 1,6 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5010 | არსენალი-ლივერპული | 2,2 | 2,1 | 5,0 | 1,07 | 1,52 | 1,47 |
| 5011 | ევერტონი-ტოტენჰემი | 2,6 | 2,05 | 3,8 | 1,14 | 1,54 | 1,33 |
| 5012 | ბირმინგემი-მანჩესტერი | 4,8 | 2,1 | 2,25 | 1,46 | 1,53 | 1,08 |
| 5013 | ბლექბერნი-ლიდსი | 2,5 | 2,05 | 4,0 | 1,12 | 1,53 | 1,35 |
| 5014 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 2,9 | 2,05 | 3,4 | 1,2 | 1,56 | 1,27 |
| 5015 | ჩარლტონი-პორტსმუთი | 2,25 | 2,1 | 4,8 | 1,08 | 1,53 | 1,46 |
| 5016 | ჩელსი-მიდლსბრო | 1,65 | 2,6 | 6,5 | 1 | 1,31 | 1,85 |
| 5017 | ლესტერი-ფულემი | 2,8 | 2,05 | 3,5 | 1,18 | 1,55 | 1,29 |
| 5018 | სიტი-ვულვერჰემპტონი | 1,85 | 2,2 | 5,6 | 1 | 1,39 | 1,57 |
| 5027 | აინტრახტი-ვერდერი | 4,6 | 2,1 | 2,25 | 1,44 | 1,51 | 1,08 |
| 5028 | ბოხუმი-მიუნხენი | 2,2 | 2,1 | 5,0 | 1,07 | 1,52 | 1,47 |
| 5029 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 2,8 | 2,1 | 3,4 | 1,19 | 1,53 | 1,29 |
| 5030 | ჰერტა-ვოლფსბურგი | 2,3 | 2,1 | 4,6 | 1,09 | 1,53 | 1,44 |
| 5031 | ლევერკუზენი-კაიზერსლაუტერნი | 1,9 | 2,3 | 5,6 | 1,04 | 1,41 | 1,63 |
| 5032 | ჰანზა-მიონხენგლადბახი | 2,4 | 2,05 | 4,2 | 1,1 | 1,52 | 1,37 |
| 5033 | ბაიერნი-შალკე | 1,75 | 2,45 | 6,0 | 1,02 | 1,35 | 1,73 |
| 5034 | ფრაიბურგი-შტუტგარტი | 3,5 | 2,05 | 2,8 | 1,29 | 1,55 | 1,18 |
| 5035 | ჰანოვერი-კიოლნი | 2,0 | 2,15 | 5,3 | 1,03 | 1,45 | 1,52 |
| 5036 | ანკონა-ბოლონია | 5,6 | 2,2 | 1,75 | 1,57 | 1,33 | 1 |
| 5037 | ბრეშა-მოდენა | 2,35 | 1,9 | 5,3 | 1,05 | 1,62 | 1,39 |
| 5038 | მილანი-ემპოლი | 1,35 | 3,4 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,33 |
| 5039 | პარმა-ლეჩე | 2,05 | 2,1 | 5,6 | 1,03 | 1,5 | 1,52 |
| 5040 | რეჯინა-უდინეზე | 3,0 | 1,95 | 3,5 | 1,18 | 1,61 | 1,25 |
| 5041 | რომა-კიევო | 1,85 | 2,2 | 5,6 | 1 | 1,39 | 1,57 |
| 5042 | სიენა-სამპდორია | 3,0 | 1,9 | 3,6 | 1,16 | 1,63 | 1,24 |
| 5043 | იუვენტუსი-ლაციო | 2,45 | 2,0 | 4,4 | 1,1 | 1,57 | 1,37 |
| 5044 | პერუჯა-ინტერი | 4,2 | 2,05 | 2,4 | 1,37 | 1,52 | 1,1 |
| 5045 | ვალიადოლიდი-ბარსელონა | 3,8 | 2,05 | 2,6 | 1,33 | 1,54 | 1,14 |
| 5046 | მალაგა-ატლეტიკო | 2,7 | 2,05 | 3,6 | 1,16 | 1,54 | 1,3 |
| 5047 | სელტა-სევილია | 2,6 | 2,05 | 3,8 | 1,14 | 1,54 | 1,33 |
| 5048 | ესპანიოლი-ალბასეტე | 2,4 | 2,05 | 4,4 | 1,1 | 1,55 | 1,39 |
| 5049 | ვილიარეალი-დეპორტივო | 3,4 | 2,05 | 2,9 | 1,27 | 1,56 | 1,2 |
| 5050 | ბეტისი-მალიორკა | 2,3 | 2,05 | 4,8 | 1,08 | 1,55 | 1,43 |
| 5051 | სოსიედადი-მურსია | 1,7 | 2,35 | 7,0 | 1 | 1,36 | 1,75 |
| 5052 | რასინგი-ბილბაო | 2,8 | 2,05 | 3,5 | 1,18 | 1,55 | 1,29 |
| 5053 | სარაგოსა-ვალენსია | 4,4 | 2,05 | 2,4 | 1,39 | 1,55 | 1,1 |
| 5054 | რეალი-ოსასუნა | 1,5 | 3,0 | 7,5 | 1 | 1,25 | 2,14 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5510 | არსენალი-ლივერპული | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5511 | ევერტონი-ტოტენჰემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5512 | ბირმინგემი-მანჩესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5513 | ბლექბერნი-ლიდსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5514 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5515 | ჩარლტონი-პორტსმუთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5516 | ჩელსი-მიდლსბრო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5517 | ლესტერი-ფულემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5518 | სიტი-ვულვერჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5527 | აინტრახტი-ვერდერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5528 | ბოხუმი-მიუნხენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5529 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5530 | ჰერტა-ვოლფსბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5531 | ლევერკუზენი-კაიზერსლაუტერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5532 | ჰანზა-მიონხენგლადბახი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5533 | ბაიერნი-შალკე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5534 | ფრაიბურგი-შტუტგარტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5535 | ჰანოვერი-კიოლნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5536 | ანკონა-ბოლონია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5537 | ბრეშა-მოდენა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5538 | მილანი-ემპოლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5539 | პარმა-ლეჩე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5540 | რეჯინა-უდინეზე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5541 | რომა-კიევო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5542 | სიენა-სამპდორია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5543 | იუვენტუსი-ლაციო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5544 | პერუჯა-ინტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5545 | ვალიადოლიდი-ბარსელონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5546 | მალაგა-ატლეტიკო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5547 | სელტა-სევილია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5548 | ესპანიოლი-ალბასეტე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5549 | ვილიარეალი-დეპორტივო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5550 | ბეტისი-მალიორკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5551 | სოსიედადი-მურსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5552 | რასინგი-ბილბაო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5553 | სარაგოსა-ვალენსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5554 | რეალი-ოსასუნა | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5410 | არსენალი-ლივერპული | 1,55 | 2,5 |
| 5411 | ევერტონი-ტოტენჰემი | 1,8 | 2,0 |
| 5412 | ბირმინგემი-მანჩესტერი | 2,4 | 1,6 |
| 5413 | ბლექბერნი-ლიდსი | 1,75 | 2,1 |
| 5414 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 1,85 | 1,95 |
| 5415 | ჩარლტონი-პორტსმუთი | 1,6 | 2,4 |
| 5416 | ჩელსი-მიდლსბრო | 1,35 | 3,2 |
| 5417 | ლესტერი-ფულემი | 1,85 | 1,95 |
| 5418 | სიტი-ვულვერჰემპტონი | 1,4 | 3,0 |
| 5427 | აინტრახტი-ვერდერი | 2,3 | 1,65 |
| 5428 | ბოხუმი-მიუნხენი | 1,6 | 2,4 |
| 5429 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 1,8 | 2,0 |
| 5430 | ჰერტა-ვოლფსბურგი | 1,65 | 2,3 |
| 5431 | ლევერკუზენი-კაიზერსლაუტერნი | 1,4 | 3,0 |
| 5432 | ჰანზა-მიონხენგლადბახი | 1,7 | 2,2 |
| 5433 | ბაიერნი-შალკე | 1,35 | 3,2 |
| 5434 | ფრაიბურგი-შტუტგარტი | 2,0 | 1,8 |
| 5435 | ჰანოვერი-კიოლნი | 1,4 | 2,8 |
| 5436 | ანკონა-ბოლონია | 3,2 | 1,35 |
| 5437 | ბრეშა-მოდენა | 1,7 | 2,2 |
| 5438 | მილანი-ემპოლი | 1,15 | 4,0 |
| 5439 | პარმა-ლეჩე | 1,5 | 2,6 |
| 5440 | რეჯინა-უდინეზე | 1,85 | 1,95 |
| 5441 | რომა-კიევო | 1,35 | 3,2 |
| 5442 | სიენა-სამპდორია | 1,8 | 2,0 |
| 5443 | იუვენტუსი-ლაციო | 1,7 | 2,2 |
| 5444 | პერუჯა-ინტერი | 2,2 | 1,7 |
| 5445 | ვალიადოლიდი-ბარსელონა | 2,1 | 1,75 |
| 5446 | მალაგა-ატლეტიკო | 1,8 | 2,0 |
| 5447 | სელტა-სევილია | 1,75 | 2,1 |
| 5448 | ესპანიოლი-ალბასეტე | 1,7 | 2,2 |
| 5449 | ვილიარეალი-დეპორტივო | 1,95 | 1,85 |
| 5450 | ბეტისი-მალიორკა | 1,65 | 2,3 |
| 5451 | სოსიედადი-მურსია | 1,25 | 3,7 |
| 5452 | რასინგი-ბილბაო | 1,8 | 2,0 |
| 5453 | სარაგოსა-ვალენსია | 2,1 | 1,75 |
| 5454 | რეალი-ოსასუნა | 1,25 | 3,7 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5310 | არსენალი-ლივერპული | 1,65 | 1,95 |
| 5311 | ევერტონი-ტოტენჰემი | 1,7 | 1,9 |
| 5312 | ბირმინგემი-მანჩესტერი | 1,65 | 1,95 |
| 5313 | ბლექბერნი-ლიდსი | 1,7 | 1,9 |
| 5314 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 1,7 | 1,9 |
| 5315 | ჩარლტონი-პორტსმუთი | 1,7 | 1,9 |
| 5316 | ჩელსი-მიდლსბრო | 1,75 | 1,85 |
| 5317 | ლესტერი-ფულემი | 1,75 | 1,85 |
| 5318 | სიტი-ვულვერჰემპტონი | 1,75 | 1,85 |
| 5327 | აინტრახტი-ვერდერი | 1,55 | 2,1 |
| 5328 | ბოხუმი-მიუნხენი | 1,55 | 2,1 |
| 5329 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 1,55 | 2,1 |
| 5330 | ჰერტა-ვოლფსბურგი | 1,6 | 2,0 |
| 5331 | ლევერკუზენი-კაიზერსლაუტერნი | 1,6 | 2,0 |
| 5332 | ჰანზა-მიონხენგლადბახი | 1,6 | 2,0 |
| 5333 | ბაიერნი-შალკე | 1,6 | 2,0 |
| 5334 | ფრაიბურგი-შტუტგარტი | 1,65 | 1,95 |
| 5335 | ჰანოვერი-კიოლნი | 1,6 | 2,0 |
| 5336 | ანკონა-ბოლონია | 1,65 | 1,95 |
| 5337 | ბრეშა-მოდენა | 1,65 | 1,95 |
| 5338 | მილანი-ემპოლი | 1,8 | 1,8 |
| 5339 | პარმა-ლეჩე | 1,65 | 1,95 |
| 5340 | რეჯინა-უდინეზე | 1,65 | 1,95 |
| 5341 | რომა-კიევო | 1,7 | 1,9 |
| 5342 | სიენა-სამპდორია | 1,7 | 1,9 |
| 5343 | იუვენტუსი-ლაციო | 1,65 | 1,95 |
| 5344 | პერუჯა-ინტერი | 1,65 | 1,95 |
| 5345 | ვალიადოლიდი-ბარსელონა | 1,65 | 1,95 |
| 5346 | მალაგა-ატლეტიკო | 1,65 | 1,95 |
| 5347 | სელტა-სევილია | 1,65 | 1,95 |
| 5348 | ესპანიოლი-ალბასეტე | 1,65 | 1,95 |
| 5349 | ვილიარეალი-დეპორტივო | 1,65 | 1,95 |
| 5350 | ბეტისი-მალიორკა | 1,65 | 1,95 |
| 5351 | სოსიედადი-მურსია | 1,7 | 1,9 |
| 5352 | რასინგი-ბილბაო | 1,6 | 2,0 |
| 5353 | სარაგოსა-ვალენსია | 1,65 | 1,95 |
| 5354 | რეალი-ოსასუნა | 1,75 | 1,85 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5110 | არსენალი-ლივერპული | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5111 | ევერტონი-ტოტენჰემი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5112 | ბირმინგემი-მანჩესტერი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,4 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 5113 | ბლექბერნი-ლიდსი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5114 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5115 | ჩარლტონი-პორტსმუთი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5116 | ჩელსი-მიდლსბრო | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5117 | ლესტერი-ფულემი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 5118 | სიტი-ვულვერჰემპტონი | 2,0 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5127 | აინტრახტი-ვერდერი | 5,6 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,6 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 5128 | ბოხუმი-მიუნხენი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5129 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5130 | ჰერტა-ვოლფსბურგი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5131 | ლევერკუზენი-კაიზერსლაუტ. | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5132 | ჰანზა-მიონხენგლადბახი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5133 | ბაიერნი-შალკე | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 5134 | ფრაიბურგი-შტუტგარტი | 4,4 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 5135 | ჰანოვერი-კიოლნი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5136 | ანკონა-ბოლონია | 11,0 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 1,8 |
| 5137 | ბრეშა-მოდენა | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,0 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 5138 | მილანი-ემპოლი | 1,4 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,6 | 17,0 | 25,0 | 15,0 | 15,0 |
| 5139 | პარმა-ლეჩე | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 5140 | რეჯინა-უდინეზე | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,2 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 5141 | რომა-კიევო | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5142 | სიენა-სამპდორია | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5143 | იუვენტუსი-ლაციო | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5144 | პერუჯა-ინტერი | 5,6 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 5145 | ვალიადოლიდი-ბარსელონა | 5,0 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,2 |
| 5146 | მალაგა-ატლეტიკო | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5147 | სელტა-სევილია | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5148 | ესპანიოლი-ალბასეტე | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5149 | ვილიარეალი-დეპორტივო | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5150 | ბეტისი-მალიორკა | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5151 | სოსიედადი-მურსია | 1,7 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5152 | რასინგი-ბილბაო | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5153 | სარაგოსა-ვალენსია | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,9 |
| 5154 | რეალი-ოსასუნა | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,0 | 15,0 | 20,0 | 14,0 | 14,0 |

# იტალიას გავუტეხავთ
## ქართველებს თიხის არ ეშინიათ

*დევისის თასის მესამე ევროაფრიკულ ჯგუფში საუკეთესო საქართველოს ვაჟთა ნაკრები დღეიდან მეორე ჯგუფის შეხვედრებს იწყებს. გელა ელერდაშვილის გუნდის პირველი მეტოქე პირველი ჯგუფიდან დაქვეითებული იტალიაა. ხუთმატჩიანი დაპირისპირება კალიარის კორტზე კვირამდე გასტანს*



დღეს სათამაშოდ პირველ-მეორე ნომრები გავლენ. თბილისის დროით 15 საათზე ირაკლი უშანგიშვილი კლასიფიკაციაში მასზე 600 საფეხურით მაღლა მდგომ ალესიო დი მაუროს შეხვდება. ამ მატჩის დასრულების შემდეგ კი ირაკლი ლაბაძე და ანდრეას სეპი ითამაშებენ. იტალიური „რაისატი" ხუთივე შეხვედრას პირდაპირი ეთერით გადასცემს.

საქართველოს ნაკრებში ლაბაძისა და უშანგიშვილის გარდა ევროპაში მოვარჯიშე ახალგაზრდები — ლადო ჩიხლაძე და დავით კვერნაძეც არიან, მაგრამ საეჭვოა, მატჩის ბედის გადაწყვეტამდე თავის გამოჩენის შანსი მიეცეთ.

მასპინძელთა მოთხოვნით, თამაშები თიხის საფარზე ჩატარდება. აპენინელთა სურვილი პირველ რიგში მათ ლიდერზე, ფილიპო ვოლანდრიზე იყო გათვლილი, რომელიც თიხნარზე გაცილებით ძლიერია, თუმც მსოფლიო კლასიფიკაციის 46-ე ნომერმა შეიძლება ქართველებთან საერთოდ ვერ ითამაშოს. ბოლო დღეებში ტრავმა გამიზეზებია და ექიმების ზედამხედველობით ვარჯიშობს. კალიარიში მყოფმა საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა *ლეილა მესხმა* პირველ რიგში ეს გვითხრა, შემდეგ კი მცირე ინტერვიუც მოგვცა.

— მასპინძელთა მთავარი იმედი ვოლანდრი პირველ დღეს კორტზე გასვლას რომ ვერ მოახერხებს, უკვე გადაწყვეტილია. ალბათ ვერც შაბათს დააყენებენ წყვილებში. კვირამდე კი, იმედოვნებენ, მოკეთდებაო.

— კენჭისყრამ როგორ ჩაიარა?

— პარასკევს პირველი ნომრები მეორეებს დაუპირისპირდებიან, კვირას კი მეტოქეებს გაცვლიან.

— ვოლანდრის არყოფნაში იტალიელთა ლიდერობას ვინ გასწევს?

— ალესიო დი მაურო. იგი კლასიფიკაციაში 122-ეა.

— ჩვენი ლიდერი, ცხადია, ლაბაძეა. მეორე ვინ არის?

— გუნდის კაპიტანმა გელა ელერდაშვილმა არჩევანი ირაკლი უშანგიშვილზე შეაჩერა. სწორედ ის დაიწყებს იტალიურ-ქართულ შეხვედრას დი მაუროსთან.

— ჩიხლაძე და კვერნაძე წყვილებში ითამაშებენ?

— ლაბაძე-უშანგიშვილის ტანდემი ალბათ არც შაბათს შეიცვლება. საკვირაოდ კი ვნახოთ, რა მდგომარეობა იქნება.

— რეალურად შეგვიძლია იტალიელთა დამარცხება?

— რა თქმა უნდა, შეიძლება და ამის იმედს გუნდის განწყობა გვაძლევს. მასპინძელთა უპირატესობა კი საკუთარი კედლები და თიხნარია.

— ტრავმა ხომ არ აწუხებს ვინმეს?

— ყველაფერი რიგზეა. საბედნიეროდ, არავის არაფერი აწუხებს.

— მეორე ჯგუფში დებიუტანტები ვართ. მთავარი ამოცანა ალბათ ადგილის შანარჩუნებაა...

— ეს პროგრამა-მინიმუმია.

— პირველ ჯგუფში ასვლაზეც ფიქრობთ?

— რატომაც არა, თუმც საამისოდ იტალიელთა გარდა კიდევ ორი ძლიერი ნაკრების დამარცხება დაგვჭირდება. ცოტა ძნელია, მაგრამ ვეცდებით.

**ოთარ მაღლაკელიძე**

DAVIS CUP
BNP PARIBAS

**დევისის თასი. 9 - 11 აპრილი**

# მსოფლიო ჯგუფი
## მეოთხედფინალამდელი რამე-რუმე

### აშშ — შვედეთი
დელრი ბიჩი. ჰარდი

ეს ამ ორი დიადი დევისნაკრების მეთერთმეტე დაპირისპირება იქნება და — ეგებ თქვენც გახსოვდეთ — აქამომდელი ათი შეხლიდან უფრო მეტი, სახელდობრ კი შვიდი იანკებს მოუგიათ.

პირველად მათ ერთმანეთში 1946 წელს იომეს, სულ ბოლოჯერ კი — შვიდი წლის წინ, გიოტებორგულ ფინალში, რაიც შვედთა ზორბა გამარჯვებით, 5:0 დასრულდა. მას შემდეგ ამერიკელებს დევისფინალში ველარ გაუღწევიათ და, ცხადია, ახლა იმ ნულოვანი მარცხისთვის შურისგებას ეცდებიან.

სეფეჩოგანს მათგან ამქრის მეორეადგილოსანი ენდი როდიკი გააქნევს, მას რანგით მე-18 მერდი ფიში და წყვილთა რეიტინგსიის მეთაური ჯუფთი — ძმები მაიკ და ბობ ბრაიანები შეეწევიან. შვედეთის ღირსებას კი ვეტერანები — იონას ბიორკმანი (27), ტომას ენკვისტი (62), ტომას იოჰანსონი და 20 წლის რობინ სოდერლინგი (49) დაიცავენ.

შეგახსენებთ, რომ ამერიკელებს თასი ყველაზე მეტჯერ, 31-გზის მოუნაგრავთ, შვედთა დიდების დარბაზში კი შვიდი დევისთასი ასვენია.

### ბელარუსი — არგენტინა
მინსკი. ხალიჩა

ძალზედ განსხვავებული დევისისტორიის მქონე ეს ორი ნაკრები ერთმანეთს მეორედ ხვდება. პირველად მათ 2001-ში იპაექრეს და არგენტინამ მაშინ ბელარუსს სამსოფლიოჯგუფო გზა გადაუკეტა.

თასზე ბელარუსები 1994 წლიდან გამოდიან და მსოფლიო ჯგუფამდე აღზევება მხოლოდ ამ სეზონშილა მოუხერხდათ. პირველ წრეში მათ რუსებს სძლიეს და — თუკი იმას გავითვალისწინებთ, რომ არგენტინელებს ორი ჯილა, დავიდ ნალბანდიანი და გილერმო კორია აკლიათ — ეგებ ნახევარფინალსაც უწიონ.

მათ მთავარკაც მაქს მირნის (29) ჩოგნებს ვლადიმირ ვოლჩკოვი, ალექსანდრ შვეცი და ანდრეი კარაჩენია აუბამენ. გაუჩოთაგან კი მინსკში ჩასვლა აგუსტინ კალიერიმ (19), გილერმო კანიასმა (83), ხუან მონაკომა და ლუკას არნოლდიმ შეძლეს.

არგენტინელები თასზე 1921 წლიდან ნადირობენ, თუმცა მის მონადირებასთან სულ ახლოს მხოლოდ ერთხელ, 1981 წლის მარცხიან ფინალში იყვნენ.

### ესპანეთი — ჰოლანდია
მალიორკა. თიხნარი

შარშანდელი ფინალისტები ჰოლანდიელებს მალიორკულ სამოთხეში უმასპინძლებენ. ეს ორი გუნდი ერთმანეთს „დევისურად" 1923 წლის შემდეგ ეპაექრება და საამპარასკევუქმეებო ჯახი რიგით მერვე იქნება. პირველი ხუთი ესპანელებს მოუგიათ, ხოლო ბოლო ორი, 1993 წლისა და 2001 წლის პირველ წრეებში — ჰოლანდიელებს. ეს უკანასკნელი მარცხი იბერებს განსაკუთრებით მწარედ ახსოვთ, რაკილა წინა წელს ისტორიაში პირველად და უკანასკნელად შეძლეს დევისოლიმპოზე ასვლა და იმავის გამეორებას, ცხადია, მომდევნო სეზონშიც აპირებდნენ.

საზეო წლის დარად ესპანურ არმადას ვარსკვლავები არც ახლა აკლია. აღლუმს ჩუტყვავილის გამო ერთთვენაუქმები ხუან კარლოს ფერერო (3) უთამადებს. მშობლიურ კუნძულზე სხვანაირი ხალისით გაირჯება კარლოს მოია (7), ხოლო მეორე მალიორკელის, 17 წლის რაფაელ ნადალისთვის (35) ეს შესაძლოა, პირველი დევისოფლიანობა გამოდგეს. მეოთხე მუჩაჩო კი ტომი რობრედოა (21).

რაც შეეხება ჰოლანდიელებს, ისინი ფინალში მხოლოდ ერთხელ და ისიც ისე უხსოვარ დროში (1920 წელს) ყოფილან, როცა არამცთუ ამჟამინდელი მონაკრებენი, არამედ ამათი მშობლებიც კი არ დაბადებულიყვნენ.

ფერეროს ერთთვიანი უთამაშებლობის სათავისოდ გამოყენებასა და მასპინძელთა დაონავრებას სხენგ შალკენი (14), მარტინ ფერკერკი (17), რაემონ სლოიტერი (78) და იონ ვან ლოტუმი (93) შეეცდებიან.

### შვეიცარია — საფრანგეთი
ლოზანა. ჰარდი

შვეიცარია მხოლოდ ერთხელ, 1992 წელს ყოფილა ფინალში, საფრანგეთი კი თასის ცხრაგზის მფლობელია. ისინი ერთმანეთს თერთმეტჯერ შეხვედრიან და ფრანგები მხოლოდ ორჯერ დამარცხებულან. მაგრამ ამ ორიდან ბოლო შარშანდელ სეზონზე და თანაც სწორედ მეოთხედფინალზევე მოდის.

დიახ — თუმცა ფრანგებს ზურგს ტრადიცია და უმჯობესი პირადი ბალანსი უმაგრებთ, შვეიცარიელებს ჰყავთ კაცი, ვისაც ყველანაირ რიცხვთა და ამბავთა თავდაყირა დაყენება ხელეწიფება. ეს კაცი ამქრის ამჟამინდელი ზეგარდმო პირველოსანი როჯერ ფედერერია, რომელმაც გუნდი შარშან ნახევარფინალამდე ატარა და იმ ეტაპზეც მხოლოდ ავსტრალიაში, გადარეულ ლეიტონ ჰიუიტთან დათმო.

ფედერერმა ფრანგები შარშან ტულუზში ჩაჩოგნა, ახლა კი მშობლიურ ალპებში მასპინძლობს. მის ასაბიას მიხელ კრატოხვილი, ივო ჰოიბერგერი და ივ ალეგრო შეადგენენ.

ხოლო ფრანგებს კი არ ეყოლებათ ვირუსშეყრილი მამალი სებასტიან გროჟანი, რომლის მაგივრობასაც ალბათ ყმაწვილი ჟულიენ ბენეტო (94) გასწევს. მას სამარქაფო სკამიდან კაპიტან ფორჟეს გარდა არნო კლემანი (25), ნიკოლა ესკუდე (81) და მიშელ ლოდრა შეაგულიანებენ, რომელთაც მერე — რასაკვირველია — ჩოგნის გაქნევა თავადაც მოუწევთ.




ხელი-ხელს მატჩის წინ: როჯერ ფედერერი და ნიკოლა ესკუდე

**BAUSCH AND LOMB CHAMPIONSHIPS**
ამელია აილენდი. თიხნარი. საპრიზო 585 ათასი $

# კონჩიტა: ერთიც და 700!



### მეორე წრე

**სერენა უილიამსი** (2, აშშ) — მარი პირსი (საფრანგეთი) 6:3, 6:1; **ამელი მორესმო** (3, საფრანგეთი) — აკიკო მორიგამი (იაპონია) 6:0, 6:3; **ელენა კოსტანიჩი** (ხორვატია) — ელენა დემენტიევა (5, რუსეთი) 7:6 (7:5), 1:0 დემენტიევამ შეწყვიტა; **აი სუგიამა** (6, იაპონია) — კატალინა კასტანო (კოლუმბია) 7:5, 6:4; **ნადია პეტროვა** (7, რუსეთი) — მილაგროს სეკერა (ვენესუელა) 6:1, 6:0; **პაოლა სუარესი** (9, არგენტინა) — შინობუ ასაგოე (იაპონია) 6:4, 6:3; **სილვია ფარინა ელია** (10, იტალია) — ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) 6:1, 6:1; **ბარბორა სტრიჩოვა** (ჩეხეთი) — ანა სმაშნოვა-პისტოლეზი (13, ისრაელი) 2:6, 6:4, 7:6 (7:1); **კაროლინა სპრემი** (ხორვატია) — მაგდალენა მალეევა (15, ბულგარეთი) 6:2, 6:4; **კონჩიტა მარტინესი** (16, ესპანეთი) — ანაბელ მედინა გარიგესი (ესპანეთი) 6:3, 6:4

დღის უმთავრეს მოვლენებად სერენა უილიამსის დამაჯერებელი გამარჯვება და შარშანდელი ჩემპიონის, რუსი ელენა დემენტიევას ნაადრევი ოტება იქცა.

სერენამ, ვინაც წლეულს თავის მეორე ტურნირზე გამოდის, მხოლოდ ოთხი გეიმი დაუთმო ამელია აილენდის ოდინდელ ჩემპიონ მარი პირსს. ქერა რუსგოგომ კი, წინა კვირაში მაიამობის ფინალამდე რომ გაატანა და გადამწყვეტი შეხლა იმავ სერენასთან დათმო, უსახელო ხორვატ კოსტანიჩთან მოსაგები მატჩი ბარძაყის ტრავმის გამო შეწყვიტა.

ძალიან იმედგაცრუებული ვარ, რაკილა პირველი სადაბლეიტიო ტიტული სწორედ აქ მოვიგე და ეს ტურნირი ჩემთვის დასტურ გამორჩეული ამბავიაო, იძახდა დემენტიევა ნამატჩევს. ისე კი, ტრავმა მას თურმე უკვე მაიამიში მიუღია, ხოლო აქ მხოლოდ გაუმიზეზებია.

რაც შეეხება სერენას, 2002 წლის წარმატებული როლანგაროსობის შემდეგ მას თიხნარტიტული აღარსად მოურეწავს და სამოტივაციოდ — სხვა თუ არაფერი — ეგეც ეყოფა. თუმცა რა დასამალია, რომ თავად უმცროსი შავდაც და მთელი დანარჩენი საჩოგნეთიც მისი და პირველ ნომრად განთესილი ჟუსტინ ენენ-არდენის საფინალო განდაგანის მოლოდინშია.

სხვაფრივ — ზურგის ორთვიანი ტრავმიანობის შემდეგ კორტს მოუბრუნდა ამელი მორესმო და — აკიკო მორიგამისთან მისი მატჩის ანგარიშს თუ ამოიკითხავთ — კარგა ბარაქიანადაც!

მეთექვსმეტე ნომრად განთესილმა 32-ს მიტანებულმა კონჩიტა მარტინესმა კი კარიერის 699-ე გამარჯვება მიირიცხა და ახლა ერთი მოგებაღა აკლია, შვიდას-შვიდასი მატჩის მომგებ უზეპურეს ექვსეულთან შესაერთებლად.

**ლევან კელაურაძე**



სსუ — რუსთავი. მცირეოდენი მაყურებელი ამ ჩხუბმა თუ გამოაფხიზლა

## საქართველოს ჩემპიონატი

8 აპრილი. ვერის ბაღი

**სსუ 65:76 რუსთავი**

17:22 20:21 13:14 15:19

**სსუ:** ფარლალავა (6), სორდია (15), კანკია (22), ურიდია (2), ქვილითაია (11), დოლიძე (3), ლუკავა (6)
**რუსთავი:** გაბისონია (19), ლიპარტელიანი (4), ბერუაშვილი (21), ტყეშელაშვილი (10), დანელიანი (6); ცეკვავა, ჯიმშელეიშვილი (16)
**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, დავით ბერეკაშვილი
**კომისარი:** როლანდ გელოვანი

**ბასკო 78:48 ქუთაისი**

24:16 17:6 17:11 20:15

**ბასკო:** კვიმსაძე (17), ბ. ბერიშვილი (16), ბოისა, ტუჯანი (9), ბერძენიშვილი (9); ბოლქვაძე (6), იმნაძე (15), როდუმტა (6)
**ქუთაისი:** პირტახია (23), ჭულუხიძე (2), კოლუაშვილი (5), ნიჟარაძე (2), ნ. შანიძე (6); ლოსაბერიძე (2), ცერცვაძე (8), ნარსია, ცაგარეიშვილი, ფურცხვანია
**მსაჯები:** ზურაბ ანდრიაძე, მალხაზ ანდღულაძე
**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

# უმარილო თამაში მარილიანი ჩხუბით

## გვინდა ასეთი მარილი?!

**ირაკლი პერტაია**

ნახევართვიანი შესვენების შემდეგ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ჩხუბით განახლდა. სოხუმის უნივერსიტეტისა და რუსთავის გუნდების მატჩში გვარიანი დაკა-დაკა გაჩაღდა, თუმც მოშუღართა გამშველებლებით გავსებული მოედანი მალევე დაიცალა, ვნებები ჩაცხრა და, ვითომც აქ არაფერიო, თამაში გაგრძელდა.

ისე, სიმართლე თუ გინდათ, რომ არა მუშტი-კრივი, ამ მატჩზე ბევრიც არაფერი იქნებოდა სათქმელი. ულიმღამო, უფრო კი მდარე კალათბურთის ცქერით მითვლემილი მცირეოდენი გულშემატკივარი სწორედ ამ ჩხუბმა გამოაფხიზლა, ქომაგმა კისერი წაიგრძელა, ნახე, რა ბათქიაო, თუმც ჩხუბი რომ უმალ ჩააცხრეს, შიშველი ტრიბუნები ისევ მოწყენილობამ მოიცვა.

მაინც რა მოხდა? ისეთი არაფერი, კარგად ნაცნობი სცენა: „მიდი რა, ბიჭო... შენი ბიჭო ვინაა... ხმას დაუწიე, თორე...“ და აფეთქდა. სოხუმელმა ირაკლი სორდიამ და რუსთაველმა გუგი ლიპარტელიანმა სიტყვით რომ ვერაფერი გააწყვეს, ერთმანეთს მუშტებით გაუსწორდნენ. ვინ აცალა... მოედანზე უმალ მთელი „რუსთავი“ გაჩნდა, სად იყო და სად არა, ძველაზოტელი ბუნტისთავი ირაკლი ჯაფარიძეც მებრძოლ-გამშველებელთა მარაქაში გაერია, თუმცა, ემანდ კიდევ რამე არ დამაბრალონო, მალევე ტრიბუნას დაუბრუნდა.

ასე იყო თუ ისე, ვიწრო გაწევ-გამოწევა დიდ ბათქა-ბუთქში არ გადაზრდილა, რუსთაველებს ეყოთ გონი და მოჩხუბარი თანაგუნდელი უმალ მოედანს გაარიდეს. ისე, რუსთაველებს არც სორდიასთვის დაუხრიათ თავი, მტყუანი შენ იყავი და აღარ გინდა ბევრი ლაპარაკიო. ლიპარტელიანიცა და სორდიაც, ცხადია, თამაშიდან გააძევეს, ამ უკანასკნელმა კი მობილურმომარჯვებულმა დატოვა დარბაზი, ვინ იცის, ძმაბიჭებს უხმობდა, გაუგებრობაში მოვყევიო.

ეს ამბავი, როგორც უკვე გითხარით, ბოლო მეოთხედში, თამაშის დასრულებამდე 7 წუთით ადრე მოხდა და „რუსთავი“ ამ დროს 9 ქულას იგებდა. მანამდეც დაახლოებით სულ ასეთი სხვაობა იყო, თუმც პირველ ტაიმში სოხუმელებიც მოინდომებდნენ ხოლმე, რამდენჯერმე ქვემოქართლელებს ქულითაც კი მიუახლოვდნენ.

ხალვათქულიანი დებიუტის შემდეგ რუსთაველებმა პირველი მეოთხედის ბოლოს გვარიანი უპირატესობა მოიპოვეს — 22:9. ქვემოქართლელთა ქულათა მოპოვების ყველაზე ხეირიანი იარაღი შორი სროლები იყო და ამ საქმეში ტყეშელაშვილი, გაბისონია და ჯიმშელეიშვილი ყოჩაღობდნენ. თუმც არც სოხუმელი სორდია ჩამორჩა ამათ, თანაგუნდელი ლაშა ფარლალავაც აიყოლია და მეორე ათწუთეულის შუაწელში „რუსთავი“ 2 ქულასღა იგებდა.

მესამე მეოთხედი რუსთაველთა 6-ქულიანი ლიდერობით დაიწყო და თანაბარი ბურთაობის შემდეგ იმ ეპიზოდმაც მოატანა, რითაც წერილი დავიწყეთ. ჩხუბის შემდეგ რუსთაველთა უპირატესობაში აღარავინ დაეჭვებულა. გაძევებული ირაკლი სორდია სოხუმელთათვის მართლაც დიდი ძალა ყოფილა.

მომდევნო მატჩი უფრო უინტერესო უნდა ყოფილიყო, რაკი ერთმანეთს ცხრილის პოლუსებზე მყოფი გუნდები, მოწინავე ბათუმის „ბასკო“ და ყველა მატჩში დამარცხებული „ქუთაისი“ ხვდებოდნენ. მოლოდინი გამართლდა, მოედანზე დასამახსოვრებელი არაფერი მომხდარა, ფავორიტმა ულაპარაკოდ გადათელა აუტსაიდერი.

ერთი რამ მაინც იყო თვალში საცემი: მშობლიურ ქალაქს მოწყვეტილ და უსახსროდ დარჩენილ „ბასკოს“, თუმც მაჩანჩალას ეთამაშებოდა, მაინც აკლდა ძველებური ჟინი და შემართება. მოთამაშეები, ცხადია, ნირწამხდრები არიან —სადღაა ძველებური დალხენილი ცხოვრება, ხელფას-პრემიები. ჰოდა, ძნელია ისე მოიქცე, თითქოს ყველაფერი აჟურში გაქვს. „ბასკო“ კი თამაშობდა, მაგრამ ძველებურად ლაღად ვერა, თუმც ვინ იცის, ეს სულაც არ იყოს გუნდში არსებული პრობლემების ბრალი და ჩემპიონატის მოწინავე გუნდებთან მატჩებში ისევ ის მებრძოლი, შეუპოვარი და მოხერხებული „ბასკო“ ვიხილოთ.

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

7 აპრილი

ნიუ იორკი 96:92 ჩიკაგო
მაიამი 104:101 ბოსტონი
მილუოკი 116:107 ვაშინგტონი
მემფისი 92:74 კლივლენდი
სან ანტონიო 96:75 სიეტლი
დენვერი 111:96 მინესოტა
პორტლენდი 87:81 გოლდენ სტეიტი
ჰიუსტონი 102:79 კლიპერსი

## ევროლიგა

მეორე ჯგუფური ეტაპი. 8 აპრილი

ბენეტონი 88:72 ბარსელონა
პანათინაიკოსი 77:86 სიენა
მაკაბი 107:99დ.დ.(94:94) ჟალგირისი



# ევროაფრიკული ალავერდი

**სამხრეთ** აფრიკაში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატი ქართველმა 19-წლამდე მორაგბეებმა გამარჯვებით დაასრულეს. სამმატჩიანი წარუმატებელი სერია ლევან მაისაშვილის შეგირდებმა იტალიის ძლევით (13:6) შეწყვიტეს, საბოლოოდ მეცხრე ადგილს დასჯერდნენ და ელიტაში ადგილი შეინარჩუნეს.

ერთი წლით უფროსებს არც 18-წლამდე ბორჯღალოსნები ჩამორჩნენ. იტალიურ ტრევიზოში ევროპის ჩემპიონატზე 24-მა ნაკრებმა მოიყარა თავი. მონაწილეები სიძლიერის მიხედვით სამ ჯგუფში განაწილდნენ. საქართველო საფრანგეთთან, ინგლისთან, შოტლანდიასთან, იტალიასთან, რუსეთთან, რუმინეთთან და პორტუგალიასთან ერთად ელიტჯგუფში მოხვდა.

პირველ შეხვედრაში მასპინძელთაგან მარცხნაწვნევმა გია ჭუმბურიძის გუნდმა გუშინწინ პორტუგალიას 12:5 სძლია, 10 აპრილს კი მეხუთე ადგილისთვის მატჩში რუსებს გაეჯიბრება.



## პლეი ოფი. პირველი წრე



დეტროიტელთა მეკარე მენი ლეგასმა სკოტ უოკერის დარტყმული შაიბა კარისკენ არ გაუშვა

# გვაცადეთ დასხდომა!

## ჰოლმა განსხვავებულით დაიწყო

7 აპრილი

**დასავლეთი**

### დეტროიტი 1:0 ნეშვილი

**დეტროიტი 3:1 ნეშვილი**

*0:1 0:0 3:0*

0:1 ჰოლი (1), 1:1 დრეიპერი (41), 2:1 ჰოლმსტრიომი (45), 3:1 ლანგი (59)

„ჯო ლუის არენაზე“ მაყურებელი არც დამჯდარიყო, მე-16 წამზე ადამ ჰოლმა დეტროიტს რომ გაუტანა. მერე მასპინძელთა კარში ბულიტი დაინიშნა და სტივ სალივანს რომ არ აეცილებინა, ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა ეს თამაში. საბოლოოდ მატჩი დეტროიტმა მოიგო, თუმც უნდა ითქვას, რომ „ნეშვილის“ მეკარემ ორი პერიოდის განმავლობაში გვარიანად ანერვიულა მეტოქის ფორვარდები. ბოლო მესამედის დასაწყისშიღა გაათანაბრა ანგარიში საპლეიოფოდ დაბრუნებულმა კრის დრეიპერმა. მერე კი, იცოცხლეთ, გაშალეს თავიანთი წითელი ფრთები მასპინძლებმა.

### კოლორადო 1:0 დალასი

**კოლორადო 3:1 დალასი**

*2:0 0:0 1:1*

1:0 ფორსბერგი (7), 2:0 ტანგეი (9), 3:0 საკიკი (44), 3:1 კაპანენი (54)

კოლორადომ იოლად გაიმარჯვა. მასპინძლებმა სიურპრიზი მოუმზადეს მეტოქეს — მათ რიგებში თითქოს მძიმედ ტრავმირებული ალექს ტანგეი გამოჩნდა. ასე აღდგა პეტერ ფორსბერგის სამეული და პირველი ორი შაიბაც სწორედ ამ ტრიომ მიითვალა. ჯერ ფორსბერგმა იხეირა დამატებაზე, მერე კი თავად ტანგეიმ შეაგდო.

### ვანკუვერი 1:0 კალგარი

**ვანკუვერი 5:3 კალგარი**

*2:0 2:2 1:1*

1:0 რუჩინსკი (3), 2:0 სალო (6), 2:1 საიმონი (25), 2:2 საპრიკინი (26), 3:2 ჰ. სედინი (33), 4:2 ოლუნდი (38), 5:2 მორისონი (46), 5:3 ოლივა (47)

**აღმოსავლეთი**

### ბოსტონი 1:0 მონრეალი

**ბოსტონი 3:0 მონრეალი**

*2:0 1:0 0:0*

1:0 გონჩარი (6), 2:0 ნიულანდერი (20), 3:0 კნუბლი (39)



# ბექემები სახალხოდ

ამ კვირაში ინგლისური გაზეთის, „სანის“ მიერ დაყრილ ჭორს, დევიდ ბექემს მადრიდში საყვარელი გაუჩენია და მასთან სატელეფონო ეროტიკული მიმოწერაც ჩაუწერეთო, ბექჰემა და მისმა ცოლმა, ვიქტორია ადამსმა თავისებურად უპასუხეს: რახან ფეხბურთელს „რეალში“ თამაში არ უწევდა, ფრანგულ სამთო კურორტ კურშაველისკენ გასწიეს ბოლო თოვლის დასავემოვნებლად. სინამდვილეში რა იყო, აბა, ვინ გაიგებს.



# კოული ჰაერში

ამ ჰაერში დაკიდულ ბიჭს ენდი კოული კი ჰქვია, ოღონდ ფეხბურთელი არ არის, მოტოფრისტაილის ოსტატია და ბასკურ ქალაქ ვიტორიაში მიმდინარე საერთაშორისო სუპერკროსში ჩაბმულა.

# დაბერდი, ძმობილო

ჯორჯიაში, ოგასტას ეროვნულ გოლფ-კლუბში დღეს დაიწყება იქაური მასტერსი. ტაიგერ ვუდსი (მარჯვნივ) და მარკ ოჰარა, ოხუნჯურად შველიან არნოლდ პალმერს კიბეზე ჩასვლაში. ოხუნჯობის არსი იმაშია, რომ ორი განთქმული მესამეს მიანიშნებს, უკვე დაბერებულხარო. პალმერისთვის ოგასტას შეჯიბრი 50-ე მასტერსია.



# რიპ ქარლ პრო

ბულს ბიჩის ტალღებზე მოსერფეთა ცნობილი „რიპ ქარლ პრო“ მიმდინარეობს. შეჯიბრის პირველი რაუნდის შემდეგ წინაა ავსტრალიელი ტაჯ ბოროუ. „რიპ ქარლი“ კი ელიტარული 12-კაცა ტურნირია, რიგით მეორე მსოფლიოს თასის სეზონში.




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge